წრიული რბოლა

საქართველოს ჩემპიონატი

GTCC

სპორტული რეგულაციები

~~განახლება 19.07.2025 V3~~

13.03.2026

სარჩევი

[პრეამბულა - თავი 1]

[ზოგადი პრინციპები - თავი 2]

[ზოგადი პირობები - თავი 3]

[მონაწილეთა ლიცენზიები - თავი 4]

[GTCC ღონისძიებები - თავი 5]

[კლასიფიკაცია - თავი 6]

[ერთნაირი შედეგები - თავი 7]

[ადმინისტრაციული შემოწმება - თავი 8]

[ღონისძიების ორგანიზება - თავი 9]

[დაზღვევა - თავი 10]

[დელეგატები - თავი 11]

[ოფიციალური პირები - თავი 12]

[ღონისძიებაზე რეგისტრაცია, წინა სასტარტო გადასახადი - თავი 13]

[საშვები - თავი 14]

[მონაწილეებთან კომუნიკაცია და ინსტრუქციები - თავი 15]

[ინციდენტები - თავი 16]

[პროტესტი და აპელაცია - თავი 17]

[ჯარიმები - თავი 18]

[მონაწილეთა კატეგორიზაცია, პილოტის/ავტომობილის ცვლილება - თავი 19]

[ავტომობილის მართვა/მონაწილის აღჭურვილობა - თავი 20]

[ავტომობილის იდენტიფიკაცია - თავი 21]

[მონაწილეთა ავტოფარეხი(PITS)/პიტ ლეინი - თავი 22]

[ტექნიკური შემოწმება/დათვალიერება - თავი 23]

[საბურავები - თავი 24]

[წონა და აწონვის პროცედურა - თავი 25]

[ავტმობილების საწვავით შევსება/საწვავი - თავი 26]

[უსაფრთხოების ზოგადი დებულებები, მონაწილეთა ქცევის წესები - თავი 27]

[სასიგნალო დროშები - თავი 28]

[ვარჯიში - თავი 29]

[კვალიფიკაცია - თავი 30]

[კვალიფიკაციის შეწყვეტა განმარტება - თავი 31]

[ვარჯიში/რბოლა წვიმის შემთხვევაში - თავი 32]

[სასტარტო ბადე - თავი 33]

[სასტარტო რეჟიმი - თავი 34]

[სტარტი/სტარტის გადადება - თავი 35]

[უსაფრთხოების ავტომობილი - თავი 36]

[რბოლის შეწყვეტა - თავი 37]

[რბოლის გაგრძელება - თავი 38]

[რბოლის ხანგრძლივობის შემცირება/რბოლის დასრულება - თავი 39]

[დახურული პარკი - თავი 40]

[სატურნირო მდგომარეობა/კლასიფიკაცია - თავი 41]

[დაჯილდოების ცერემონია და პრეს კონფერენცია - თავი 42]

[სატელევიზიო/სარეკლამო უფლებები - თავი 42]

[სამართლებრივი დავის და პასუხისმგებლობის შეზღუდვა - თავი 44]

თავი 1 - პრეამბულა

საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში, იგივე "GTCC" იმართება „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის" ეგითიდ. „საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში" მოიცავს სტატუსებს: საქართველოს ჩემპიონი წრიულ რბოლაში და საქართველოს ჩემპიონი გუნდებს შორის წრიულ რბოლაში.

1.1 ორგანიზატორი ეროვნული საავტომობილო ფედერაცია: „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია" (სსსფ)
1.2 ჩემპიონატის პრომოუტერი (არსებობის შემთხვევაში) გამოქვეყნდება დამატების სახით მიმდინარე რეგლამენტზე.

„სსსფ" არის ექსკლუზიური მფლობელი წრიულ ავტო რბოლებში საქართველოს ჩემპიონატისა. პრომოუტერის არსებობის შემთხვევაში „სსსფ"-ს ნებართვის გარეშე და ასევე „სსსფ"-ს „სპორტული კოდექსის" (სსსფ სკ) შესაბამისად, აკრძალულია ნებისმიერი სახის სპორტული რეგლამენტის შემუშავება და ცვლილება.

მიმდინარე წლის სპორტული რეგლამენტი დამტკიცებულია „სსსფ"-ს მიერ და დამტკიცების ნებართვის ნომერია: GTCC2026.1

დამტკიცებული ან შეცვლილი რეგლამენტი ძალაში შედის დამტკიცების მომენტიდან. თუ რეგლამენტის დამტკიცების/ცვლილების მომენტი დაემთხვა ღონისძიების მიმდინარეობას მაშინ ასეთი დამტკიცება/ცვლილება ძალაში შევა ღონისძიების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ღონისძიების უსაფრთხოებასთან, ძალაში შევა დამტკიცებისთანავე.

ღონისძიების სტატუსი - საქართველოს ჩემპიონატი - ეროვნული

რეგლამენტი შედგენილია ქართულ ენაზე. სათაურებს არ აქვს რეგულაციის მნიშვნელობა.

რეგლამენტში რაც გათვალისწინებული არ არის დაუშვებელია თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებით.

რეგლამენტთან დაკავშირებული განმარტების მიცემა „სსსფ"ს პრეროგატივაა.

თავი 2 - ზოგადი პრინციპები

2.1 საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში ~~გა~~იმართება ~~მიმდინარე~~ 2026 წელს ~~(თუ ჩემპიონატი იმართება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში)~~ შემდეგ რეგულაციებზე დაყრდნობით ~~(ღონისძიების მიმდინარეობისას)~~ და არა მარტო:

- საერთაშორისო საავტმობილო ფედერაციის FIA სპორტული კოდექსი და მისი დამატებები;
- საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსი და მისი დამატებები;
- საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში - რეგლამენტი 2026 და მისი დამატებები

- ღონისძიების დებულება და მისი ტამატებები და ცვლილებები
- წრიული რბოლის ტექნიკური რეგულაციები და მისი დამატებები
- ეთიკის კოდექსი
- ანტიდოპინგის რეგულაციები
- უსაფრთხოების სახელმძღვანელო
- ღონისძიების ბიულეტინები და განცხადებები
- შეჯიბრების დირექტორის, შეჯიბრების კომისრებისა და სხვა ფიციალური პირების მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები

ამ რეგლამენტში ნებისმიერი ცვლილების შეტანის ან /და დამატების გამოცემა/გამოქვეყნება „სსსფ“ს ნებართვის გარეშე აკრძალულია

2.2 ოფიციალური ენა - ქართული. ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი გამოიცემა ქართულ ენაზე. ასევე შესაძლებელია დოკუმენტების ინგლისურე ნაზე გამოცემაც, მაგრამ გაურკვევლობის შემთხვევაში უპირატესობა და რეგულაციის ფუნქცია აქვს ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებს.

თავი 3 - ზოგადი პირობები

3.1 მონაწილის პასუხისმგებლობაა დარწმუნდეს, რომ ყველა მასთან ან მის გუნდთან დაკავშირებული პირი დაიცავს და დააკმაყოფილებს თავი 2-ის მოთხოვნებს. ნებისმიერი მონაწილე, რომელიც ვერ მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე ეტაპზე (რეგისტრაციის შემთხვევაში) ვალდებულია შეჯიბრების კომისრებს წინასწარ აცნობოს წერილობით.

3.2 მონაწილის ვალდებულება და პასუხისმგებლობაა მისი სპორტული ავტომობილი შეესაბამაბოდეს და აკმაყოფილებდეს წრიული რბოლის ტექნიკურ რეგულაციებს.

3.3 ტექნიკური შემოწმებისას მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემული სპორტული ავტომობილის ტენიკური პასპორტი.

3.4 მონაწილეები (გუნდები, ტექნიკოსები, მძღოლები, მეგზურები, ავტომობილების მფლობელი) მონაწილეობას იღებენ ღონისძიებაში საკუთარი პასუხისმგებლობითა და რისკით. ისინი იღბენ სრულ პასუხისმგებლობას „სსსფ“სა და კანონის წინაშე. იღებენ სრულ პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ორგანიზატორისა და მესამე პირების მიმართ.

3.5 ნებისმიერი ცვლილება მიმდინარე რეგლამენტში შესაძლებელია ავტორიზირებული პირების მიერ „სსსფ“ს ნებართვით. ღონისძიების დაწყების შემდეგ რეგლამენტში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომისრების მიერ ბიულეტინის საშუალებით, მაგრამ მხოლოდ უსაფრთხოების მიზეზით ან ფორს-მეჟორულ სიტუაციაში ან რეგლამენტში აშკარა შეცდომის შემთხვევაში ან ოფიციალური პირების რაოდენობასთან დაკავშირებით.

3.6 ღონისძიების ორგანიზატორი იტოვებს უფლებას გააუქმოს ან გადაიტანოს ღონისძიება ან რომელიმე რბოლა ზემოთხსენებული მიზეზითა და მოთხოვნით. ასეთის შემთხვევაში მოთხოვნა უნდა შეთანხმდეს „სსსფ“თან თუ ღონისძიება დაწყებულია მაშინ კომისრებთან. ასეთ შემთხვევაში პრეტენზიები არ მიიღება.

თავი 4 - მონაწილეთა ლიცენზიები

4.1 ყველა მონაწილე ვალდებულია ფლობდეს მრბოლელის მიმდენარე და აქტიურ ეროვნულ ან საერთაშორისო ლიცენზიას.

4.2 მონაწილეები ვალდებულნი არიან „სსსფ“ს ეროვნული ლიცენზიების კატეგორიების შესაბამისი ან საერთაშორისო სპორტული კოდექსის დანართი L-ის (Appendix L) შესაბამისად ფლობდნენ შესაბამისი ლიცენზიის კატეგორიას.

ეროვნული და საერთაშორისო ლიცენზიის კატეგორიები

საერთაშორისო სპორტული კოდექსის დანართი L (ISC Apeendix L)

თავი 5 – GTCC ღონისძიებები

5.1 თითოეული ეტაპის რბოლაზე დაშვებულია მაქსიმუმ 30 ავტომობილი.

5.2 ეტაპზე რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა თუ აღემატება სასტარტო ბადეზე დაშვებულ მონაწილეთა რაოდენობას, სასტარტო ბადეზე მონაწილეები დაიშვებიან ~~კვალიფიკაციის შედეგების მიხედვით,~~ კვალიფიკაციის ~~შედეგების~~ საბოლოო შედეგების მიხედვით

5.3 საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში დაიშვებიან ავტომობილები წრიული რბოლის ჩემპიონატის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

5.4 „GTCC”ის თითოეული ეტაპი უნდა შედგებოდეს ~~(მინიმუმ)~~:

- მინიმუმ ერთი ვარჯიში - 10 (ათი) წუთი
- ერთი კვალიფიკაცია - 10 (ათი) წუთი (მინიმუმ)
- 2 (ორი) რბოლა

5.5 მონაწილეთა ბრიფინგი უნდა გაიმართოს პირველი ოფიციალური ვარჯისშის დაწყების წინ. ბრიფინგის დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს შეჯიბრების დებულებაში. ბრიფინგი იმართება მონაწილეებისათვის და პილოტებთან ერთად უნდა დაესწროს მონაწილე პილოტების ერთი წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში). მონაწილე ვალდებულია ბრიფინგს დაესწროს სრულად. მონწილის ან/და წარმომადგენლის მიერ ბრიფინგის გამოტოვება ან/და ადრე დატოვება გამოიწვეს მონაწილის დაჯარიმებას კომისრების მიერ 150 ლარის ოდენობით პირველ დარღვევაზე. მეორე დარვევის შემთხვევაში მიმდინარე სეზონის განმავლობაში ჯარიმა გაორმაგდება. გამეორების შემხვევაში დამატებით სანქციას კომისრები გადაწყვეტენ თავიანთი შეხედულებისამებრ. დამატებითი ბრიფინგი შეიძლება ჩაინიშნოს ნებისმიერ დროს შეჯიბრების დირექტორის ან შეჯიბრების ხლემძღვანელის გადაწყვეტილებით.

5.6 ფინიშის ხაზი (დროის ამთვლელი ხაზი) არის ერთი ხაზი, რომელიც გავლებულია სარბოლო მონაკვეთის ორივე მხარეს - სრაბოლო ტრასასა და პიტ ლეინზე (ერთი და იგივე

ლოკაციაზე). ფინიშის ხაზი უნდა იყოს ერთადერთი ადგილი საიდანაც ხდება სარბოლო მონაკვეთზე მონაწილეთა დროის დადგენა.

5.7 2026 წლის საქართველოს ჩემპიონატის თითოეული ეტაპი შედგება შეჯიბრების განრიგისაგან. ღონისძიებაზე შეჯიბრების განრიგის ცვლილების უფლება შეჯიბრების კომისრებს აქვთ და გამოქვეყნდება ბიულეტინის ან და დამატების სახით.

საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში 2026 – GTCC კალენდარი:

1. 05.04.2025 პირველი ეტაპი
2. 30-31.05.2025 მეორე ეტაპი
3. 11-12.07.2025 მესამე ეტაპი
4. 05-06.09.2025 მეოთხე ეტაპი
5. 25.10.2025 მეხუთე ეტაპი

5.8 მონაწილე პილოტების ლიცენზიის გამცემი ეროვნული ფედერაციის შესაბამისად, პილოტის ეროვნების შესაბამისი დროშა უნდა ფრიალებდეს დაჯილდოების ცერემონიაზე. ყველა ოფიციალურ დოკუმენტში (რეგისტრირებული მონაწილეების სია, სასტარტო ბადე და შედეგები) ორგანიზატორმა მონაწილის სახელი და გვარის გასწვრივ უნდა მიუთითოს მონაწილის ეროვნება. ორგანიზატორმა დაჯილდოების ცერემონიაზე უნდა გამოიყენოს გამარჯვებული მონაწილის ეროვნული ლიცენზიის გამცემი ეროვნული ფედერაციის ეროვნული ჰიმნი

თავი 6 - კლასიფიკაცია

6.1 ტიტული „საქართველოს ჩემპიონი“ მიენიჭება მრბოლელს, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს „საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში“ 2026 წლის სეზონის ბოლოს. ყველა საბოლოო შედეგი, მიღწეული თითოეულ ეტაპზე საქართველოს ჩემპიონატზე წრიულ რბოლაში ჩაითვლება წლიური შედეგების მიღებისას „სსსფ“ს მიერ. „სსსფ“ ადასტურებს საბოლოო წლიურ შედეგებს და სატურნირო მდგომარეობას

6.2 ტიტული „საქართველოს ჩემპიონი“ მიენიჭება გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს „საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში“ 2026 წლის სეზონის ბოლოს. ყველა საბოლოო შედეგი, მიღწეული თითოეულ ეტაპზე საქართველოს ჩემპიონატზე წრიულ რბოლაში ჩაითვლება წლიური შედეგების მიღებისას „სსსფ“ს მიერ. „სსსფ“ ადასტურებს საბოლოო წლიურ შედეგებს და სატურნირო მდგომარეობას

6.3 ყველა გუნდმა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ჩემპიონატზე 3 (სამი) ან მეტი მრბოლელით უნდა დაასახელოს 2 (ორი) გუნდის წევრი მრბოლელი, რომელიც დააგროვებს გუნდურ ჩათვლაში ქულებს. მრბოლელების დასახელება უნდა მოხდეს ადმინისტრაცულ შემოწმების დასრულებამდე და ტექნიკური დათვალიერების/შემოწმების დაწყებამდე

6.4 მრბოლელის ცვლილების შემთხვევაში სეზონის განმავლობში, შეცვლილი მრბოლელის მიერ შეცვლამდე დაგროვილი ქულები შეუნარჩუნდება გუნდს და ასევე მრბოლელს.

6.5 ქულები

რბოლის გამარჯვებული არის მრბოლელი, რომელიც დაფარავს რბოლის დისტანციას რბოლაზე დაშვებული მისივე ავტომობილით უმოკლეს დროში, ჯარიმების ჩათვლით (არსებობის შემთხვევაში).

რბოლის საბოლოო კლასიფიკაციაში მოსახვედრად, მრბოლელმა უნდა დაფაროს მინიმუმ 70% რბოლის გამარჯვებულის მიერ დაფარული დისტანციისა (მრგვალდება ნაკლებობისაკენ) და მინიმუმ 3 სრული წრე.

რბოლა ითვლება შემდგარად თუ რობლის სტარტს აიღებს მინიმუმ 5 (ხუთ) მონაწილე. რბოლის სტარტის 8 (რვა) და ნაკლები მონაწილის შემთხვევაში, მრბოლელებს საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისას კონკრეტულ რბოლაზე დაერიცხებათ ქულების 50%

რბოლის შედეგებზე 100% ქულების მისაღებად, რბოლის სტარტი უნდა აიღოს მინიმუმ 9 (ცხრა) მონაწილემ და გავლილი სარბოლო დისტანცია უნდა შეადგენდეს რბოლის სრული დისტანციის 70%-ზე მეტს

თითოეული რბოლის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატის I, II, III, და IV ეტაპებზე მონაწილეებს დაერიცხებათ ქულები შემდეგი პრინციპით:

პოზიცია	ქულა
1	25
2	20
3	16
4	13
5	11
6	10
7	9
8	8
9	7
10	6
11	5
12	4
13	3
14	2
15	1

საქართველოს ჩემპიონატის V ეტაპის თითოეული რბოლის შედეგზე მონაწილეებს დაერიცხებათ ქულები შემდეგი პრინციპით:

პოზიცია	ქულა
1	50
2	40
3	32
4	26
5	22
6	20
7	18
8	16
9	14
10	12
11	10
12	8
13	6
14	4
15	2

6.6 რბოლის შეწყვეტის შემთხვევაში (თავი 40), რომელიც არ განახლდება, მონაწილეებს არ დაერიცხებათ ქულები თუ რბოლის საერთო დისტანციიდან გავლილია მხოლოდ 2 სრული წრე. ქულების 50% დაერიცხებათ მონაწილეებს თუ რბოლის სრული დისტანციიდან გავლილია 2(ორი) წრიდან სრული დისტანციის 70% ნაკლები. თუ მონაწილეებმა რბოლაზე გაიარეს რბოლის სრული დისტანცის 70%ზე მეტი, მრბოლელებს დაერიცხებათ ქულების 100%

6.7 დაჯილდოების ცერემონია გაიმართება თითოეული რბოლის შემდეგ. დაჯილდოების ცერემონიაზე უნდა გამოცხადდეს რბოლის გამარჯვებული მრბოლელი და გამარჯვებული მრბოლელის გუნდის წარმომადგენელი, როგორც გამარჯვებული გუნდი. დაჯილდოების ცერემონიაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მონაწილე ან/და წარმომადგენელი (რომელიც არ გამოცხადდება ან დაიგვიანებს) კომისრების გადაწყვეტილებით დაჯარიმდებიან ფულადი ჯარიმით, კომისრებს უფლება აქვთ ასევე დამნაშავეს დააკისრონ დამატებითი სასჯელი. დაჯილდოების ცერემონიაზე ყველა მონაწილე ვალდებულია ეცვას და შეკრული ქონდეს სარბოლო კომბინიზონი. დაჯილდოების პროცედურის დარღვევისათვის მონაწილე დაჯარიმებული იქნება კომისრების მიერ ფულადი ჯარიმით,

კომისრებს ასევე აქვთ უფლება დამატებითი ჯარიმის გამოყენებისა თავისი შეხედულებისამებრ.

თავი 7 - ერთნაირი შედეგები

7.1 ერთნაირი ქულების შემთხვევაში, უკეთეს პოზიციას იკავებს ის მრბოლელი რომელსაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს, თანაფარდობის შემთხვევაში უფრო მეტი მეორე ადგილი და ა.შ. სრული თანაფარდობის შემთხვევაში მრბოლელები ინაწილებენ პოზიციას და პრიზებს, ხოლო შემდეგი პოზიცია რჩება თავისუფალი.

7.2 ერთნაირი ქულების შემთხვევაში გუნდებს შორის, უკეთეს პოზიციას იკავებს გუნდი რომელსაც უფრო მეტი პირველი ადგილი აქვს, თანაფარდობის შემთხვევაში უფრო მეტი მეორე ადგილი და ა.შ. სრული თანაფარდობის შემთხვევაში გუნდები ინაწილებენ პოზიციას და პრიზებს, ხოლო შემდეგი პოზიცია რჩება თავისუფალი

თავი 8 - ადმინისტრაციული შემოწმება

8.1 ადმინისტრაციული შემოწმება იმართება ეტაპის ყოველი დღის დასაწყისში. ზუსტი დრო და ადგილი გამოქვეყნებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში.

8.2 მონაწილეები და გუნდები ხელმოწერით ადასტურებენ მათი განაცხადის ფორმას და ღონისძიებაზე გამოცხადებას

თავი 9 - ღონისძიების ორგანიზება

9.1 ყოველი ეტაპის ორგანიზატორი ვალდებული გამოაქვყონოს ეტაპის დებულება (სსსფ-ს ნებართვით)

თავი 10 - დაზღვევა

10.1 სსსფ-ს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში ეტაპის ორგანიზატორი ვალდებულია გააფორმოს მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა რომელიც მინიმუმ ეროვნული ფედერაციის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. დაზღვევა უნდა ფარავდეს ყველა მონაწილეს, ოფიციალურ პირს, თანამშრომელს და ყველა იმ პირს ვისაც უფლება აქვს იმყოფებოდეს პიტ ლეინზე ან ავტოფარეხში. ასევე ყველა მარშალს სარბოლო ტრასის გარშემო

10.2 პასუხისმგებლობის დაზღვევა უნდა იყოს დამატებითი და არ უნდა აუქმებდეს არსებულ სხვა დაზღვევას.

თავი 11 – დელეგატები

11.1 თითოეული ეტაპისათვის „სსსფ“ ნიშნავს შემდეგ დელეგატებს:

- ტექნიკური დელეგატი
- უსაფრთხოების დელეგატი
- „სსსფ“ს დამკვირვებელი

11.2 დელეგატების როლია მათი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გაუწიონ ოფიციალურ პირებს მათი მოვალეობის შერულებისას და დარწმუნდნენ, რომ დაცულია საქართველოს ჩემპიონატის ყველა ნორმატიული დოკუმენტი.

თავი 12 - ოფიციალური პირები

12.1 „სსსფ“მ შეიძლება დანიშნოს შემდეგი მუდმივი ოფიციალური პირი:

შეჯიბრების დირექტორი

12.2 ყოველი ეტაპისათვის, „სსსფ“თან შეთანხმებით ორგანიზატორმა შეიძლება დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- შეჯიბრების კომისარი
- შეჯიბრების ხელმძღვანელი
- შეჯიბრების ხელმძღვანელის დამხმარე
- შეჯიბრების მდივანი
- შეჯიბრების მდივნის დამხმარე
- მთავარი ტექ.კომისარი
- მთავარი სამედიციონო ოფიცერი
- უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი

12.3 შეჯიბრების ხელმძღვანელი მუდმივ კავშირზე უნდა იყოს შეჯიბრების დირექტორთან.

შეჯიბრების დირექტორს აქვს უმაღლესი ძალაუფლება შეჯიბრების ხელმძღვანელზე, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- შეჯიბრების ვარჯიშისა და რბოლის კონტორლი. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს შეჯიბრების კომისრებს განრიგის ან შეჯიბრების დებულების ცვლილებაზე
- გამოსცეს ღონისძიების ბიულეტინი
- ვარჯიშის ან რბოლის შეჩერება ან შეწყვეტა უსაფრთხოებიდან გამომდინარე
- უსაფრთხოების ავტომობილის გამოყენება
- სპორტული ავტომობილის გაჩერება
- სასტარტო პროცედურა
- შესაძლო რესტარტი
- მონაწილეთა ბრიფინგი

12.4 ტექნიკურ დელეგატს სრული პასუხისმგებლობა აკისრია სპორტული ავტომობილების შემოწმებზე. მას აქვს სრული ძალაუფლება ტექნიკურ კონტროლიორებსა და ტექნიკურ კოსმრებზე. ნებისმიერი დარღვევა უნდა აცნობოს შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს და შეჯიბრების კომისრებს. ტექნიკურ დელეგატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს ნებისმიერი სპორტული ავტმობილი კომისრების ნებართვით ან მოთხოვნით

12.5 შეჯიბრების კომისრები მოქმდებენ როგორც ერთი, დამოუკიდებელი ორგანიზაცია თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. შეჯიბრების დებულების ან მიმდინარე ჩემპიონატის რეგლამენტის ინტერპრეტირების უფლება კომისრებს ან „სსსფ“ს აქვთ.

თავი 13 - ღონისძიებაზე რეგისტრაცია, წინა სასტარტო გადასახადი

13.1 საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, მონაწილეობის მსურველმა მრბოლელებმა უნდა გაიარონ ონლაინ რეგისტრაცია მისამართზე - WWW.GASF.GE ან WWW.GASF.CO პირადი გვერდიდან.

13.2 ღონისძიებაზე რეგისტრაციით მონაწილე ათვითცნობიერებს და აღიარებს, რომ მონაწილეობის განაცხადის შევსებიდან ორგანიზატორს და „სსსფ“-ს აძლევს უფლებას გამოიყენოს ღონიძიების მსვლელობიდან მიღებული ფოტო და ვიდეო მასალა.

13.3 საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება უფასოა

13.4 ღონისძიებაზე რეგისტრაციით მონაწილე იღებს ვალდებულებას შეჯიბრებაზე მონაწილეობაზე

13.5 მრბოლელის ან გუნდის ცვლილების შემთხვევში, მრბოლელმა ან გუნდმა წერილობით უნდა მიმართოს შეჯიბრების კომისრებს ეტაპის ვარჯიშის დაწყებამდე

13.6 რეგისტრირებულ მონაწილეს შესაძლებელია კომისრებმა დააკისრონ 100 ლარიანი ჯარიმა ადმინისტრაციულ შემოწმებაზე არ გამოცხადებისათვის ან ღონისძიებაზე სრულად არ გამოცხადებისათვის.

13.7 ადმინისტრაციული შემოწმების შემდეგ, მონაწილის საბორტო ნომრის ცვლილება შეჯიბრების კომისრების ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

თავი 14 - საშვები

ყველა პირმა პადოკზე, პიტ ლეინზე ან სარბოლო მონაკვეთის სხვა მონაკვეთზე უნდა ატაროს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე ორგანიზატორის მიერ, დამტკიცებული და „სსსფ“თან შეთანხმებული საშვი, რომელიც საშვის შესაბამის ადგილას ყოფნის უფლებას აძლევს

თავი 15 - მონაწილეებთან ინსტრუქციები და კომუნიკაციები

15.1 მხოლოდ შეჯიბრების დირექტორს ან შეჯიბრების ხელმძღვანელს (ან მათ დამხმარეებს მათი არ ყოფნის შემთხვევაში), მათი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ უფლება გასცეს ღონისძიებასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია.

15.2 ოფიციალური საინფორმაცი დაფის ან/და ვირტუალური საინფორმაციო დაფის მდებარეობა უნდა იყოს მითითბული შეჯიბრების დებულებაში. საინფორმაციო დაფაზე ქვეყნდება ყველა შეჯიბრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია - მონაწილეთა სია, დამტკიცებული დოკუმენტები, ვარჯიშისა და შეჯიბრებების შედეგები, ბიულეტინები და ა.შ.

15.3 ყველა ბიულეტინი ან ოქმი გამოცემული ღონისძიებაზე და ნებისმიერი ბიულეტინი ან ოქმი გამოცემული „სსსფ"ს მიერ, უნდა გახდეს მონაწილეებისათვის ხელმისაწვდომი. დაკავშირებული მხარე ვალდებულია ხელიმოწერით დაადასტუროს ბიულეტინის ან ოქმის მიღება.

15.4 ჯარიმები გამოქვექნებული ვარჯიშის ან რბოლის დროს აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს საინფორმაციო დაფაზე ან/და ვირტუალურ საინფორმაციო დაფაზე და დროის დამთვლელი სისტემის მონიტორებზეც (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ასეთი ჯარიმის შემთხვევაში მრბოლელს ან წარმომდგენელს კომისრების გადაწყვეტილება უნდა ჩაბარდეთ გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან ~~30~~ 40 (ორმოცი) წუთის განმავლობაში. ოქმის ჩაბარებას ხელმოწერით ადასტურებს მრბოლელი ან წარმომადგენელი. წერილობითი შეტყობინება არ მოქმედებს მრბოლელის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებზე, რომელიც აღწერია 16.5ში

15.5 ჯარიმები გაქმოქვეყნებული სარბოლო სესიის მიმდინარეობისას უნდა მიეწოდოს მრბოლელს შეჯიბრების ხელმძღვანელის/დირექტორის სასიგნალო პლატფორმიდან, რომელიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება პიტ ვოლის სიმაღლეზე სტარტის ან ფინიშის ხაზის გასწვრივ იყოს. შეჯიბრების ხელმძღვანელისგან/დირექტორისგან მრბოლელების მიმართ ყველა მითითება (ვარჯიშისას/რბოლისას) გაიცემა შეჯიბრების ხლემძღვანელის/დირექტორის სასიგნალო პლატფორმიდან შესაბამისი დროშით ან ნიშნით და დაფაზე (შავი ფონი - თეთრი ციფრებით) დატანილი მრბოლელის საბორტო ნომრით, რომელზეც სიმბოლოების სიმაღლე დაახლოებით 30სმ. უნდა იყოს.

მრბოლელის პასუხისმგებლობაა დაინახოს და მიიღოს შეჯიბრების ხელმძღვანელის/დირექტორის სასიგნალო პლატფორმიდან გაცემული ინფორმაცია როდესაც მისი ავტომობილი გასცდება აღნიშნულ პუნქტს.

მაქსიმუმ 2 საჯარიმო ინფორმაცია შეიძლება გაცემული იყოს შეჯიბრების ხელმძღვანელის/დირექტორის სასიგნალო პლატფორმიდან.

შეჯიბრების ხელმძღვანელის/დირექტორის სასიგნალო პლატფორმიდან შეიძლება შემდეგი დროშების გამოყენება:

- შავი დროშა მონაწილის საბორტო ნომერთან ერთად
- შავი დროშა ნარიჯისფერი წრით მონაწილის საბორტო ნომერთან ერთად

- შავ-თეთრი(დიაგონალზე) დროშა მონაწილის საბორტო ნომერთან ერთად
- ყველა რბოლისთვის საჭირო დროშა რომელიც გამოიყენება სარბოლო ტრასაზე

შესაძლებელია ასევე გამოყენებული იყოს ელექტრონული მონიტორები (არსებობის შემთხვევაში). აკრძალულია იდენტური ან მსგავსი ატრიბუტიკის გამოყენება გუნდების ან ორგანიზატორის მიერ, როგორიც შეჯიბრების ხელმძღვანელის/დირექტორის საისგნალო პლატფორმაზე გამოიყენება.

15.6 აუცილებელი განცხადებები, გადაწყვეტილებები, მითითებები და ა.შ. აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ საინფორმაციო დაფაზე და საინფორმაციო მონიტორებზე (არსებობის შემთხვევაში)

15.7 განცხადებები შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით უნდა გამოიცეს წერილობით და მონაწილემ უნდა დაადასტუროს ხელმოწერით მისი მიღება.

16 - ინციდენტები

16.1 „ინციდენტი“ ნიშნავს ნებისმიერ შემთხვევას ან შემთხვევათა სერიას, რომელშიც ჩართულია ერთი ან მეტი მონაწილე ან ღონისძიებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირი

- შეიძლება გამოძიებული იყოს შეჯიბრების ხელმძღვანელის/დირექტორის მიერ
- გადაეცეს კომისრებს შეჯიბრების ხელმძღვანელის/დირექტორის მიერ
- შეიძლება გამოძიებული/დაჯარიმებული იყოს შეჯიბრების კომისრების მიერ

ეს მოიცავს და არა მარტო:

- ინციდენტი საჭიროებს სესიის შეწყვეტას
- სპორტული რეგულაციების დარღვევას
- ფალს სტარტი
- სტარტი არასწორი სასტარტო პოზიციიდან
- შეჯახება/კონტაქტი
- სხვა მონაწილის სარბოლო მონაკვეთიდან გადაგდება
- სხვა მონაწილის დაბლოკვა
- გასწრების მანევრისას მოწინააღმდეგის შეფერხება
- სარბოლო მონაკვეთის დატოვება და უპირატესობით დაბრუნება
- სარბოლო მონაკვეთი ლიმიტების დარღვევა

16.2 როდესაც დარღვევა ჩადენილია მრბოლელის მიერ ღონისძიების მსვლელობისას და დარღვევა ეხება სარბოლო ტრასაზე მრბოლელის მოძრაობის წესებს, ასეთ შემთხვევაში აღწერილ დარღვევასთან დაკავშირებით გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ. თუ დარღვევა დამატებით გამოძიებას მოითხოვს, კომისრებმა უნდა დაავალონ შეჯიბრების ხელმძღვანელს/დირექტორს დამატებითი ინფორმაციის მოძიება.

დარღვევაში მონაწილე ნებისმიერი მხარე ვალდებულია კომისრების წინასწარი ნებართვის გარეშე არ დატოვოს ღონისძიების ტერიტორია.

16.3 კლასიფიცირებადი ჯარიმები რომელიც შეიძლება დაეწესოთ მონაწილეებს:

- დრო
- სასტარტო პოზიციის ცვლილება
- წრის გაუქმება, წრის (დრო) გაუქმება, შედეგის გაუქმება
- პიტ ლეინზე გავლა გაუჩერებლივ (Drive Through)

კლასიფიცირებადი ჯარიმები, რომელიც შეიძლება დაეწეროს მონაწილეს შეჯიბრების დირექტორისაგან/ხელმძღვანელისაგან ან/და შეჯიბრების კომისრებისაგან, დამატებითი პროცედურებისგან გათავისუფლებულია. ასეთი ჯარიმების შემთხვევაში კომისრემის მიერ ხელმოწერილი ოქმის გამოცემა სავალდებულოა. შეჯირბების დირექტორს ან შეჯიბრების კომისრებს აქვთ უფლება გამოიყენონ სხვა, უფრო შემსუბუქებული სასჯალი საკუთარი შეხედულებისამებრ. კომისრებს აქვთ უფლება ასეთი გადაწყვეტილების ცვლილების თუ გადაწყვეტილება გამოცემული იქნება შეჯიბრების დირექტორის მიერ.

16.4 შეჯიბრების დირექტორის მიერ მიღებული ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილებები შესაძლებელია შეიცვალოს შეჯიბრების კომისრების მიერ პროტესტის არსებობის შემთხვევაში.

16.5 პილოტებს უნდა ეცნობოთ კლასიფიცირებადი ჯარიმების შესახებ ისე, როგორც განსაზღვრულია 15.4 და 15.5 პუნქტებში. ინფორმაციის გაცემიდან, დამნაშავე მრბოლელს შეუძლია სარბოლო ტრასაზე ფინიშის ხაზი გადაკვეთა მაქსიმუმ ორჯერ სანამ შევლენ პიტ ლეინზე ჯარიმის მოსახდელად. თუ მრბოლელი ვერ შეძლებს ჯარიმის მოხდას, კომისრების გადაწყვეტილებით შეიძლება აჩვენონ შავი დროშა.

16.6 პიტ ლეინზე გავლა გაუჩერებლად (Drive-Through penalty)

ჯარიმის გამოქვეყნების შემდეგ - „Drive-Through", დამნაშავე მრბოლელი ვალდებულია შევიდეს და გაუჩერებლივ გაიაროს პიტ ლეინი სიჩქარის შეზღუდვის დაცვით.

16.7 პუნქტში 16.6 აღწერილი ჯარიმისას სპორტულ ავტომობილზე და მრბოლელზე მოქმედებს „დახურული პარკი"ს წესი. ჯარიმის შესრულებისას ნებისმიერი ქმედება რომელიც ეწინააღმდეგება ზემოთ ჩამოთვლილს, კომისრების გადაწყვეტილებით დაჯარიმდება.

16.8 თუ „Drive-Through" ჯარიმა გამოყენებული იქნება რბოლის ბოლო 3 (სამი) წრის განმავლობაში, მრბოლელის გადასაწყვეტია შეასრულებს ჯარიმას თუ არა. ასეთ შემთხვევაში როცა ბოლო 3 წრის განმავლობაში მრბოლელი არ შევა პიტ ლეინზე, რბოლის ბოლოს დაერიცხება 30 წამი ჯარიმა.

დამნაშავე მრბოლელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გადაწყვეტილების შემთხვევაში, როცა მრბოლელს ზემოთ აღწერილი ჯარიმის შესრულების სურვილი აქვს (16.8) „Drive-Through" ჯარიმა, რომ ჩაითვალოს შერულებულად აუცილებელია "Drive-Through" ჯარიმა შესრულებული იყოს ფინიშის დროშამდე რათა რბოლის დასრულება მოხდეს სარბოლო მონაკვეთზე და არა პიტ ლეინზე. ზემოთაღნიშნულის დაუცველობა გამოიწვევს შეჯიბრების კომისრების მხრიდან დამატებითი ჯარიმა.

16.9 ზოგიერთ შემთხვევაში როდესაც სპორტული უპირატესობა იქნა მიღწეული არასწორად, შესაძლებელია შეჯიბრების დირექტორმა მოითხოვოს პოზიციის უკან დაბრუნება დამნაშავე მრბოლელისაგან რათა არ მოხდეს შეჯიბრების კომისრებზე ინფორმაციის გადაცემა შემდგომი დაჯარიმებისათვის. თუ დამნაშავე მრბოლელი (გონივრულ ვადაში და უსაფრთხოდ) საკუთარი ინიციატივით ან/და შეჯიბრების დირექტორის მოთხოვნით დაუბრუნებს პოზიციას დაზარალებულ მხარეს, ასეთ შემთხვევაში შეჯიბრების დირექტორი ან ხელმძღვანელი ჩათვლიან, რომ სპორტული თანაფარდობა აღდგენილია და დამატებით ჯარიმას აღარ გამოსცემენ.

თავი 17 - პროტესტები და აპელაცია

17.1 პროტესტი ან აპელაცია მიიღება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტული კოდექსის შესაბამისად.

პროტესტის და აპელაციიის დეპოზიტურ გადასახადს აწესებს სსსფ ყოველწლიურად

17.2 პროტესტი ან აპელაცია არ მიიღება გადაწყვეტილებაზე, რომელიც აღწერილია 16.6 პუნქტში

თავი 18 - ჯარიმები

18.1 შეჯიბრების კომისრებმა შეიძლება დააკისრონ დამნაშავე მხარეს ნებისმიერი ჯარიმა რომელიც აღწერილია მიმდინარე რეგლამენტში ან დამატების სახით გამოიყენონ ნებისმიერი სასჯელი სპორტული კოდექსის შესაბამისად. ნებისმიერი დარღვევა, რომელიც ცნობილი გახდება კომისრებისათვის შესაძლებელია იქნას გამოძიებული და დამნაშავე მხარე დაჯარიმებული. შეჯიბრების კომისრებს აქვთ ულება სპორტული კოდექსის შესაბამისად ასევე გამოიყენონ „შეჩერებული ჯარიმა“

18.2 კომისრებს ასევე უფლება აქვთ დამნაშავე მრბოლელი ან გუნდი დააჯარიმონ სასტარტო ბადეზე პოზიციების დაკარგვით (დაქვეითებით) რომელიც შესაძლებელია გავრცელდეს, როგორც მიმდინარე ასევე მომდევნო ღონისძიებებზე.

18.3 ფულადი ჯარიმა აუცილებელია გადახდილი იყოს ჯარიმის გამოქვეყნებიდან 48 საათის განმავლობაში. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ ფედერაციაში. გადაუხდელობის შემთხვევაში დამნაშავე მხარე შესაძლებელია დაჯარიმდეს კომისრების გადაწყვეტილებით.

18.4 აპელაცია “Drive-Through” და დროის ჯარიმებზე არ მიიღება.

თავი 19 - მონაწილეთა კატეგორიზაცია, პილოტის/ავტომობილის ცვლილება

19.1 ტექნიკური დათვალიერების შემდეგ ავტომობილის ან/და მრბოლელის ცვლილება ნებადართულია მხოლოდ შეჯიბრების კომისრების თანხმობის შემთხვევაში. პირველი ვარჯიშის დაწყების მომენტიდან ნებისმიერი ცვლილება (ავტომობილი/მრბოლელი) დაუშვებელია.

19.2 გადაწყვეტილება, როცა ავტომობილი შეიძლება ჩაითვალოს შეცვლილად ან შეკეთებულად მხოლოდ შეჯიბრების კომისრების პრეროგატივაა და ეყრდნობა შეჯიბრების ტექნიკური დელეგატის ოქმს.

თავი 20 - ავტომობილის მართვა/მონაწილის აღჭურვილობა

20.1 ნებისმიერმა მრბოლელმა სპორტული ავტომობილი უნდა მართოს და იმყოფებოდეს ავტომობილში მარტო. ავტომობილი უნდა მოძრაობდეს გარეშე პირთა დახმარების გარეშე.

20.2 სპორტული ავტომობილის მართვისას, მრბოლელს უნდა ეცვას სრული უსაფრთხოების აღჭურვილობა „სსსფ“ს მოთხოვნის შესაბამისად და ეკეთოს უსაფრთხოების ღვედი „სსსფ“ს მოთხოვნების შესაბამისად. ამ პუნქტში „მართვისას“ იგულისხმება, ნებისმიერი სახის ავტომობილის მოძრაობა მისივე მოძრაობის საშუალებით შიდა წვის ძრავის გამოყენებით.

თავი 21 - ავტომობილის იდენტიფიკაცია

21.1 საბორტო ნომრები

საბორტო ნომრები სპორტულ ავტომობილებზე უნდა იყო განთავსებული:

ავტომობილის ორივე მხარეს

წინა საქარე მინაზე

უკანა მინაზე

საბორტო ნომრების ზუსტი მდებარეობა აღწერილია მიმდინარე სეზონის ტექნიკურ რეგულაციებში

21.2 ადგილი რეკლამისათვის:

სავალდებულო რეკლამის ადგილი გამოქვეყნდება საქართველოს ჩემპიონატი წრიული რბოლის შესაბამის დანართში

სავალდებულო რეკლამის რეგულაციები გამოქვეყნდება საქართველოს ჩემპიონატი წრიული რბოლის შესაბამის დანართში

მრბოლელების აღჭურვილობაზე სავალდებულო რეკლამა გამოქვეყნდება საქართველოს ჩემპიონატი წრიული რბოლის შესაბამის დანართში

სარეკლამო რეგულაციები ან/და დანართი თანხმდება „სსსფ“თან

თავი 22 - მონაწილეთა ავტოფარეხი(PITS)/პიტ ლეინი

22.1 ზოლი უნდა ყოფდეს პიტ ლეინს ორ ნაწილად. ნაწილი, რომელიც უფრო ახლოს არის მონაწილეთა ავტოფარეხთან (PITS) არის სამუშაო ზოლი. მხარე, რომლიც პიტის კედელთან (pit wall) უფრო ახლოსაა - სამოძრაო ზოლი (Fast Lane). სამოძრაო ზოლის გამოყენება დასაშვები მაშინ, როცა მრბოლელები სხედან საჭესთან სარბოლო რეჟიმში (სრული არჭურვილობით, ღვედებ შეკრული). სამოძრაო ზოლში, ავტომობილების შეკეთება აკრძალულია, ასევე ავტომობილის ნაწილის ან სამუშაო ინსტრუმენტის დატოვება. გარდა შემთხვევისა, როცა სესია შეწყდა.

22.2 მხოლოდ ავტორიზირებულ პირებს შეუძლიათ პიტ ლეინზე ყოფნა სპეციალური საშვით. ბაშვები (16 წლამდე) პიტ ლეინზე და პიტის კედელზე არ დაიშვებიან, მიუხედავად იმისა, მათ ამის უფლებას საშვი აძლევს თუ არა.

22.3 უსაფრთხოებიდან გამომდინარე, შეჯიბრების ხელმძღვანელმა/დირექტორმა შეიძლება დროებით შეზღუდოს ჩემპიონატში მონაწილე ავტომობილები პიტ ლეინზე და მოთხოვოს გუნდებს ავტოფარეხების დაკეტვა პიტ ლეინის მხარეს. ზემოთხსენებულის მიზეზი შეიძლება იყოს სხვა კლასის ავტმობილების რბოლა ან სხვა სახეობის რბოლის გამართვა

22.4 ელექტრონული მოწყობილებები, რომელიც გამოყენებულია უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს. მოწევა აკრძალულია როგორც ავტოფარეხებში ასევე პიტ ლეინზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე და ასევე სასტარტო ბადეზე.

22.5 მონაწილეებს პიტ ლეინის დატოვება შეუძლიათ მაშინ, როდესაც პიტის გასასვლელში მწვანე შუქი ანთია და განრიგით შესაბამისი კლასის ავტომობილების სესია მიმდინარეობს. პიტ ლეინის გასასვლელში უნდა ციმციმებდეს ლურჯი შუქი, რაც პიტ ლეინიდან გამსვლელ ავტომობილს ავალდებულებს გზის დათმობას ტრასაზე მყოფი ავტმობილისათვის. პიტ ლეინის გასავლელში წითელი შუქის შემთხვევაში - გასვლა აკრძალულია

22.6 ზემოთხსენებული წესის დარღვევისათვის, შეჯიბრების კომისრებს უფლება აქვთ დამრღვევს დააკისრონ ფულადი ჯარიმა იმ შემთხვევაში თუ დარღვევა მოხდება შეჯიბრების ვარჯიშზე. კვალიფიკაციაზე - საუკეთესო დროის ანულირება.

22.7 მრბოლელელბმა ყოველთვის უნდა გამოიყენონ სამოძრაო ზოლი (Fast Lane) ავტოფარეხთან მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად. აკრძალულია ავტომობილების გვერდის ავლა რომლებიც დროებით დგანან სამოძრაო ზოლზე (მაგ. გუნდის წევრები მიაგორებენ ავტოფარეხში)

22.8 პიტ ლეინზე მაქსიმალური დასაშვები სეჩქარე არის 60 კმ/სთ. რომელიც მთელი რბოლის განმავლობაშ კონტროლდება ფაქტის მსაჯის მიერ. სიჩქარის გადაჭარბება ისჯება. შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს აქვს სრული უფლება აღნიშნულის დამრღვევის დასჯის

22.9 მონაწილის ვალდებულება და პასუხისმგებლობაა უსაფრთხო გამოსვლა ავტოფარეხიდან და ტექნიკური შეკეთების პოზიციიდან სამოძრაო ზოლზე. გამოსვლა უნდა მოხდეს უსაფრთხოდ, მოძრავ ზოლზე მოძრავი ავტომობილის შეფერხების გარეშე.

22.10 ზემოთხსენებულის კონტროლი ხორციელდება მარშლების მიერ

22.11 საქართველოს ჩემპიონატში აკრძალულია უსაფრთხოების ბადეზე ასვლა. დამნაშავე პირი და გუნდი შეიძლება დაჯარიმებულ იყოს კომისრების მიერ

22.12 სარბოლო მონაკვეთზე და პიტლენზე აქტიური სესიების დროს აკრძალულია ცხოველები და ფრინველები , გარდა შემხვევებისა როდესაც კონკრეტულ ეტაპზე დაშვებულია „სსსფ“ს მიერ.

12.13 ყველა გუნდის წევრს, რომელიც მუშაობს ავტომობილზე, უნდა ეცვათ გრძელ სახელურიანი ზედა და გრძელი შარვალი. ასევე დახურული ფეხსაცმელი და ხელთათმანი

თავი 23 - ტექნიკური შემოწმება/დათვალიერება

23.1 მრბოლელმა ან მისმა წარმომადენელმა უნდა მიიყვანოს ავტომობილი ტექნიკურ შემოწმებაზე დათქმულ დროს და ადგილას ისეთ მდგომარეობაში როგორიც ივლის რბოლას (საბორტო ნომრით და რეკლამით) ასევე მრბოლელის სრული ეკიპირება წარმოდგელი უნდა იყოს ტექნიკური ინსპექტირების დროს. ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ჩემპიონატის ტექნიკურ მოთხოვნებს.

23.2 ტექნიკური შემოწმებისას წარდგენილი უნდა იყოს - ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი

23.3 ავტომობილები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ტექნიკურ შემოწმებას, დაეკრობათ სპეციალური საიდენტიფიკაციო ნიშანი, რაც ავტომობილის ტექ. შემოწმების გავლაზე მიუთითებს. ყველა ავტომობილი რომელიც ვერ გაივლის ტექნიკურ შემოწმებას არ დაიშვებიან შეჯიბრებზე.

მონაწილე ავტომობილი, რომელიც რაიმე სახის დაზიანებას მიიღებს ინციდენტისას. ტექნიკური დელეგატის ნებართვის გარეშე შეჯიბრის გარძელების უფლება არ მიეცემა.

შეჯიბრებაზე ნებისმიერი ავტომობილის დაშვება/არ დაშვების გადაწყვეტილებას იღებენ შეჯიბრების კომისრები

23.4 ტექნიკურ კონტროლიორებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეამოწმონ სპორტული ავტომობილი, მათ შორის პიტ ლეინიდან გასვლისას. ასევე შეჯიბრების კომისრების მოთხოვნით შესაძლებელია დამატებითი ტექ.დათვალიერების ჩატარება ნებისმიერ მონაწილე ავტომობილზე

23.5 ყველა მონაწილე ავტომობილზე ტექნიკური შემოწმებისას აუცილებელია სწორად იყოს განთავსებული რეკლამა და საბორტე ნომრები. ნებისმიერ მონაწილეს პირველი კვალიფიკაციის დაწყებამდე მიეცემა დრო დარღვევების აღმოსაფხვრელად

23.6 შეჯიბრების კომისრების გადაწყვეტილებით, ტექნიკურ კონტროლიორებს ან/და „სსსფ“ს მიერ ავტორიზირებულ პირებს ულფება აქვთ შეამოწმონ სპორტული ავტომობილი ან და მისი კომპონენტები სხვა ტერიტორიაზე. საბოლოო შემოწმებამდე ყველა ოფიციალური შედეგი ითვლება წინასწარად იმ მომენტამდე, სანამ კომისრები არ გამოიტანენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

23.7 სპორტული ავტომობილის დაშლის და აწყობის ხარჯები რომელიც იმართება შეჯიბრების კომისრების მოთხოვნით უნდა გაიღოს დაინტერესებულმა მხარემ.

23.8 ნებისმიერი მონაწილე სპორტული ავტომობილი, ღონისძიებაზე მიღებული დაზიანებების შემთხვევაში ან ცვლილებების შემთხვევაში რომელიც ეხება უსაფრთხოებას, აუცილებლად უნდა შემოწმდეს შესაბამისობა ტექნიკურ რეგულაციებთან და „სსსფ“ს მოთხოვნებთან. შემოწმების მოთხოვნის შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს ავტომობილი

23.9 ღონისძიების მიმდინარეობისას ყველა მონაწილის მონაწლე ავომობილი მზად უნდა იყოს ტექნიკური შემოწმებისათვის. ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში მარკირებული საბურავები კონკრეტული სპორტული ავტომობილისათვის მზად უნდა ჰქონდეს მონაწილეს შემოწმებისათვის.

23.10 საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე, უფლებას აძლევს ტექნიკურ დელეგატს ნებისმიერ დროს შეამოწმოს მისი ავტომობილი და მისი მოწყობილობები. ასევე, ნებისმიერი სახის ჩანაწერები, მათ შორის ვიდეო ჩანაწერები

23.11 იმ შემთხვევაში თუ მონაწილე ავტომობილი ნებისმიერ სესიაზე დაკარგავს ავტომობილის რომელიმე დეტალს, შეჯიბრების კომისრების გადასაწყვეტია ტექნიკურ დელეგატთან შეთანხმებით ავტომობილის დაკარგული დეტალი შეჯიბრების მერე მის წონაში ჩაითვალოს თუ არა

23.12 შეჯიბრების დირექტორს უფლება აქვს ინციდენტში მონაწილე ყველა ავტომობილის შემოწმება მოითხოვოს

23.13 შეჯიბრების კომისრებმა უნდა გამოაქვეყნონ ტექნიკური შემოწმების შედეგები,

23.14 ძრავა კონტროლდება შეჯიბრების ტექნიკური დელეგატის მიერ

თავი 24 - საბურავები

24.1 ყველა ეტაპზე მონაწილე ვალდებულია ტექნიკურ დელეგატთან დაარეგისტრიროს 6 ცალი ორგანიზატორის მიერ დაშვებული ახალი საბურავი. ეტაპის პირველი ვარჯიშზე მონაწილე ვალდებულია ეყენოს რეგისტრირებული 4 ახალი საბურავი. აკრძალულია ისეთი ტიპის/მწარმოებლის/მოდელი საბურავის გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული ორგანიზატორის მიერ.

24.2 ნებისმიერი მოდიფიკაცია, საბურავის პროტექტორის ცვლილება აკრძალულია. ნებისმიერი ქიმიური, მექანიკური ან თერმული დამუშავება დაუშვებელია.

24.3 გამონაკლისი:

- დაშვებულია საბურავის გაგრილება
- დაშვებულია საბურავის გაწმენდა სპეციალური გამწმენდი მექანიკური საშუალებით

- საბურავის ტემპერატურის გაზრდა ავტოფარეხიდან სპორტული ავტომობილის გამოსვლამდე
- საბურავებში წნევის რეგულირებისათვის გამოყენებული უნდა იყოს ჰაერი

24.4 ყველა მშრალი ამინდის საბურავს უნდა ჰქონდეს დატანილი ბარკოდი ან უნდა იყოს მარკირებული ტექნიკური დელეგატის მიერ (ან უფლებამოსილი პირის მიერ), რომელიც საშუალებას იძლევა საბურავის იდენტიფიცირების. ყოველ ღონისძიებაზე საბურავები რეგისტრირდება ტექნიკურ კომისრებთან

24.5 წვიმის საბურავი გამოიყენება მხოლოდ მაშინ თუ შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი გამოაცხადებს წვიმის რბოლას (თუ დამატებით არის გათვალისწინებული ცალკეული წვიმის საბურავი).

24.6 საბურავის შეცვლა დაშვებულია მხოლოდ საბურავის დაზიანების შემთხვევაში. საბურავის ცვლილებაზე ნებართვას გასცემს მხოლოდ ტექნიკური დელეგატი, რომელიც ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს შეჯიბრების კომისრებს.

ნებართვის გარეშე საბურავის ცვლილება (რეგისტრირებული საბურავით) გამოიწვევს 5 წამიან ჯარიმას რბოლაზე, რომელზეც მოხდება საბურავის ცვლილება. კვალიფიკაციაზე - კვალიფიკაციის შედეგის გაუქმებას.

არარეგისტრირებული საბურავის გამოყენება ნებართვის გარეშე გამოიწვევს მონაწილის შედეგის გაუქმება იმ სესიიდან რომელზეც ეყენა მონაწილეს აღნიშნული საბურავი.

მონაწილეს უფლება აქვს დააყენოს არარეგისტრირებული საბურავი მხოლოდ ტექნიკური დელეგატი ნებართვით და ისიც, მას შემდეგ რაც ამოიწურება რეგისტრირებული საბურავები. ასეთ შემთხვევაში მონაწილე დაჯარიმდება 5 წამით თითოეულ შეცვლილ საბურავზე.

24.7 ამ რეგულაციების ნებისმიერი დარღვევა და ისეთი საბურავის გამოყენება, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული ტექნიკური კომისრების მიერ გამოიწვევს სასტარტო ბადეზე პოზიციების დაკარგვას ან რბოლის შედეგის ანულირებას. შეჯიბრების კომისრებს უფლება აქვთ გამოიყენონ დამატები ჯარიმები.

24.8 ყოველივე ზემოთ აღწერილი მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ ჩემპიონატის ეტაპის დებულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

თავი 25 - წონა და აწონვის პროცედურა

25.1 სპორტული ავტომობილის მინიმალური წონა რეგულირდება ჩემპიონატის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით. ავტომობილის აწონვისას, ავტომობილის წონას აფიქსირებს ფაქტის მსაჯი

25.2 მთხოვნილი მინიმალური წონა თითოეული სპორტული ავტომობილისა მრბოლელით და მისი აღჭურვილობით მაგრამ საწვავის გარეშე უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: ავტომობილის მინიმალური წონა თანახმად ჩემპიონატის ტექნიკური რეგლამენტისა. ავტომობილი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ რეგლამენტს ნებისმიერ დროს, ღონისძიების

მიმდინარეობისას. ეფექტურობის ბალანსის მიხედვით, ავტომობილის წონა შეიძლება შეიცვალოს წლის განმავობაში.

25.3 მინიმალური წონის დარღვევისათვის კვალიფიკაციის შემდეგ გამოიწვევს მრბოლელის გამოთიშვას საკვალიფიკაციო შედეგებიდან და რბოლის სასტარტო ბადეზე დამრღვევი დადგება სასტარტო ბადის ბოლოში. თუ არ არის გამოქვეყნებული საბოლოო სასტარტო ბადე მაშინ, დამრღვევის უკან მყოფი მონაწილეები დაწინაურდებიან 1 პოზიციით. თუ საბოლოო სასტარტო ბადე გამოქვეყნებულია მაშინ დამრღვევის პოზიცია რბოლის სასტარტო ბადეზე დარჩება ცარიელი.

25.4 მონაწილის ვალდებულებაა ავტომობილის აგორება საასწორზე ღონისძიების ნებისმიერ დროს შეჯიბრების კომისრების, ტექნიკური დელეგატის ან ტექნიკური კომისრების მოთხოვნით. ავტომობილზე მოქმედებს დახურული პარკის წესი იმ მომენტიდან, როცა აწონვის პროცედურა დაიწყება ან ინსტრუქცია გაიცემა. ამ პუნქტში აღწერილი დახურული პარკის წესი მოქმედებს პროცედურის დასრულებამდე. დამატებით ოფიციალურად განრიგით გათვალისწინებული აწონვისას და ასევე აწონვის ადგილას მოქმედებს დახურული პარკის რეჟიმი, მხოლოდ ავტორიზირებულ პერსონალს აქვს ყოფნის უფლება. აკრძალულია ნებისმიერი სახის ჩარევა სპორტული კომისრების ნებართვის გარეშე. მონაწილის მიერ აწონვის პროცედურის დარღვევის შემთხვევაში, დარღვევა გადაეცემა კომისრებს და შესაძლოა გამოიწვიო მონაწილის დაჯარიმება.

თავი 26 - ავტმობილების საწვავით შევსება/საწვავი

26.1 მონაწილეთათვის სასწვავის მომწოდებელი შეძღუდული არ არის და თავისუფალია თუ ეტაპის დებულება სხვა რამეს არ ითველისწინებს

26.2 საწვავის გაგრილება ნებისმიერი სახით, აკრძალულია

26.3 გარდა შემთხვევებისა, როდესაც ავტოფარეხის წინ მიმდინარეობს ატვომობილის შეკეთების პროცესი, ყველა მექანიკოსი უნდა იმყოფებოდეს ავტოფარეხში. 1 სპორტულ ავტომობილზე დაშვებულია 4 (ოთხი) მექანიკოსი.

26.4 სესიების მიმდინარეობისას ავტომობილის საწვავით შევსება დაუშვებელია.

26.5 ამ რეგულაციის დარღვევამ შეიძლება ავტომობილის და მრბოლელის დისკვალიფიკაცია გამოიწვიოს რბოლიდან, დარღვევის სიმძიმის და მიხედვით. გადაწყვეტილება შეჯიბრების კომისრებზეა.

თავი 27 - უსაფრთხოების ზოგადი დებულებები, მონაწილეთა ქცევის წესები

27.1 მონაწილეთა ქცევის წესები და უსაფრთხოების ზოგადი დებულებები მოქმედებს სრულს ღონისძიებაზე, მიუხედავად იმისა რომელი სესია მიმდინარეობს.

ყველა მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სპორტული კოდექსის დანართი L-ის დებულებებს მრბოლელების ქცევის წესს წრიული ავტო რბოლებისას. ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას დამატების მნიშვნელობა აქვს ზემოთ ხსენებულ ინფორმაციასათან.

27.2 მრბოლელის მიერ შესრულებულმა მანევრმა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სხვა მრბოლელებს და საფრთხეში ჩააგდოს ისინი, კომისრების გადაწყვეტილებით შეიძლება გამოიწვიოს დამრღვევის დაჯარიმება. იგივე ეხებათ მრბოლელებს, რომლებიც არ იცავენ ღონისძიების სტანდარტებს. ღონისძიების დირექტორმა/ხელმძღვანელმა ნებისმიერი მრბოლელისგან/მონაწილისგან შეიძლება მოითხოვოს სამედიცინო შემოწმების გავლა ღონისძიების ექიმთან. ღონისძიების ექიმის დასკვნის საფუძველზე მრბოლელს/მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე/გაგრძელებაზე

27.3 სარბოლო მონაკვეთზე პოზიციის დაცვისას დაუშვებელია 1ზე მეტი (ერთი) გადაადგილება (სარბოლო ზოლიდან). ნებისმიერი მრბოლელი, პოზიციის დაცვისას სარბოლო ზოლის გარეთ, ვალდებულია სარბოლო ზოლზე დაბრუნებისას დატოვოს 1 (ერთი) ავტომობილის სიგანეზე ადგილი მის ავტომობილსა და სარბოლო მონაკვეთის ზღვარის განმსაზღვრელ ზოლს შორის მოსახვევთან მიახლოებისას.

27.4 სარბოლო მონაკვეთზე ნებათვის გარეშე აკრძალულია უმიზეზოდ ავტომობილის გაჩერება.თუ მრბოლელი იძულებულია გააჩეროს მისი ავტომობილი სარბოლო მონაკვეთზე, რაც შეიძლება მალე უნდა იყოს გაყვანილი აღნიშნული სპორტული ავტომობილი სარბოლო მონაკვეთიდან, ასეთ დროს დაცული უნდა იყოს სარბოლო მონაკვეთის უსაფრთხოების წესი. მრბოლელი ვალდებულია სწრაფად და უსაფრთხოდ დატოვოს ავტომობილი, ავტომოიბილი უნდა დატოვოს ჩამქრალი და ნეიტრალურ გადაცემაში, ხელის მუხრუჭზე. მრბოლელი სასწრაფო წესით უნდა გადავიდეს მინიმუმ პირველი დაცვის ზღუდის უკან (ბეტონის კედელი), მრბოლელს ვალდებულება აქვს დაემორჩილოს ოფიციალური პირების მითითებებს.

ნეიტრალურ გადაცემაში და ხელის მუხრუჭზე უნდა იყოს ავტომობილი დატოვებული დახურულ პარკშიც.

27.5 სარბოლო მონაკვეთის კიდე (ტრასის ორივე მხარეს) უნდა იყოს გამოყოფილი თეთრი ზოლით. ბორდიურები (Kerbs) არ არის ტრასის შემადგენელი ნაწილი, გარდა შემთხვევებისა, როცა შეჯიბრების დირექტორი/კომისარი ჩათვლის სხვანაირად. მრბოლელებს შეუძლიათ გამოიყენონ სრული სარბოლო მონაკვეთი (თეთრი ზოლიდან თეთრ ზოლამდე). სპორტული ავტომობილი ითვლება სარბოლო მონაკვეთის მიღმა თუ მისი ოთხივე საბურავი თეთრი ზოლის გარეთ გადავა.

27.6 კატეგორიულად აკრძალულია სარბოლო მონაკვეთზე, მათ შორის პიტ ლეიზე მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა, გარდა შემთხვევისა, როცა ეს საჭიროა ავტომობილის უსაფრთხო ადგილიდან გასაყვანად ან/და მითითება არის მიღებული ოფიციალური პირებისაგან.

როდესაც ავტომობილი გაჩერდება სარბოლო მონაკვეთზე მარშლების მოვალეობაა მისი უსაფრთხოდ გაყვანა ისე, რომ სხვა მრბოლელებს არ შეექმნათ საფრთხე. გარდა შემთხვევებისა, როცა მარშლებს მითითება მისცეს შეჯიბრების საკონტროლო პუნქტიდან,

რბოლის დროს აკრძალულია ავტომობილის გაგორება. ნებისმიერი სესიის დროს, მხოლოდ მარშლებს აქვთ უფლება დახმარება გაუწიონ გაჩერებულ ავტომობილს თუ იგი იმყოფება პიტ ლეინის გარეთ.

თუ მრბოლელი მიიღებს მექანიკურ დახმარებას მობილური უსაფრთხოების გუნდიდან კვალიფიკაციის ან რბოლის დროს, აღნიშნული სესია ჩაითვლება დასრულებულად კონკრეტული მრბოლელისათვის. თუ მრბოლელი გააგრძელებს აღნიშნულ სესიას, მრბოლელი შეიძლება დაჯარიმდეს:

- წრეები, შესრულებული დახმარების შემდეგ გაუქმდება
- დაფიქსირებული დრო დახმარების შემდეგ გაუქმდება
- მრბოლელს აჩვენებენ შავ დროშას

27.7 გარდა შემთხვევებისა, როცა სხვა რამ არ არის გათვალისწინებული შეჯიბრების დებულებაში სპორტულ ავტომობილზე შეხების უფლება მხოლოდ მრბოლელს აქვს გარდა პიტ ლეინისა, პადოკისა და სასტარტო ბადისა. გამონაკლისის სახით ოფიციალურ პირებს აქვთ უფლება შეეხონ ავტომობილს ნებისმიერ დროს უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

ავტომობილის შეკეთება ნებადართულია მხოლოდ მონაწილის ავტოფარეხში ან ავტოფარეხის წინ, სასტარტო ბადეზე, პადოკზე. რბოლის ან ვარჯიშის დროს გუნდის წევრების ყოფნა სარბოლო მონაკვეთზე დაუშვებელია.

27.8 მონაწილე რომელიც აფერხებს ან ბლოკავს სხვა მონაწილეებს შეიძლება დაჯარიმდეს კომისრების მიერ.

27.9 მრბოლელი რომლიც დატოვებს სარბოლო მონაკვეთს, შეუძლია დაბრუნდეს ტრასაზე (გარეშე პირების დახმარების გარეშე) ისე, რომ სხვა, ტრასაზე მოძრავი მონაწილეები არ შეაფერხოს და არ შეუქმნას საფრთხე. გარემოებებიდან გამომდინარე, კლასიფიცირებადი ან/და სხვა ნებისმიერი ჯარიმა შეიძლება გამოიყენონ შეჯიბრების კომისრება მრბოლელის მიმართ, რომელიც სარბოლო მონაკვეთის დატოვებით მიიღებს უპირატესობას. რბოლის დირექტორს შეუძლია მისი შეხედულებისამებრ ისეთ მრბოლელს, რომელიც მიიღებს უპირატესობას ტრასიდან გასვლით, დააბრუნებინოს პოზიცია იმ მონაწილეზე, რომელთანაც მოიპოვა უპირატესობა. შესაძლებელია ტრასის გარკვეულ მონაკვეთებზე დაკვირვებას ფაქტის მსაჯები ახდენდნენ

27.10 მრბოლელი, რომელიც აპირებს სარბოლო მონაკვეთის დატოვებას, ეს უნდა გააკეთოს ისე, რომ სხვა მონაწილეები არ შეაფერხოს და არ შეუქმნას საფრთხე. მონაწილე, რომელიც აპირებს პიტ ლეინზე შევლას უნდა დაიცვას შემდეგი პირობები:

- პიტ ლეინზე შესვლა ნებადართულია სპორტული ავტომობილის შენელებით, შესასვლელი ზონიდან, რომელიც გამოყოფილია სარბოლო მონაკვეთისგან. შესასვლელი ზონიდან სარბოლო მონაკვეთზე დაბრუნება დაუშვებელია, როცა მრბოლელს გადაწყვეტილი აქვს პიტ ლეინზე შესვლა
- მრბოლელებმა უნდა შეანელონ ავტომობილი როდესაც მიაღწევენ შენელების ზონას პიტ ლეინის შესასვლელთან და მოემზადონ გასაჩერებლად მათი ავტოფარეხის წინ, ეს ყველაფერი ისე უნდა გააკეთონ, რომ საფრთხე არ შეუქმნან სხვა მონაწილეებსა და

ოფიციალურ პირებს. ნებისმიერი გაჩერება უნდა მოხდეს მონაწილის ავტოფარეხის წინ. პიტ ლეინში მოძრავ ზოლზე მოძრავ ავტომობილებს უპირატესობა აქვთ იმ ავტომობილებზე, რომლებიც სამუშაო ზოლზე იმყოფებიან.

- პიტ სტოპის შემდეგ მრბოლელებს უფლება აქვთ დაბრუნდნენ სარბოლო მონაკვეთზე. სარბოლო მონაკვეთზე დაბრუნებისას, მრბოლელის პასუხისმგებლობაა ეს ყველაფერი ისე მოახდინოს, რომ არ შეაფერხოს მრბოლელები, რომლებიც იმყოფებიან ტრასაზე. პიტ ლეინიდან გასვლისას აკრძალულია პიტ ლეინის გასასვლელი ზოლის გადაკვეთა. შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს უფლება აქვს გამოსცეს გაფრთხილება მრბოლელებისათვის რომლებიც გადაკვეთავენ აღნისშნულ ზოლს პიტ ლეი ნიდან გასვლისას. კვალიფიკაციისას აღნიშული დარღვევისათვის მონაწილე დაჯარიმდება 3 პოზიციით სასტარატო ბადეზე. რბოლისას აღნიშნულის დარღვევისათვის მონაწილე დაჯარიმდება “Drive-Through” ჯარიმით
- მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა პიტ ლეინზე კონტროლდება ფაქტის მსაჯის მიერ
- პიტ ლეინის შესასვლელიდან გასასვლელამდე დაშვებული მაქსიმალური სიჩქარე არის 60 კმ/სთ. შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებების პიტ ლეინის სიჩქარესთან დაკავშირებით უსაფრთხოებიდან გამომდინარე
- პიტ ლეინზე, ავტომობილებისათვის უკუ სვლით მოძრაობა (შიდა წვის ძრავით) აკრძალულია
- პიტ ლეინზე სიჩქარის გადაჭარბებისათვის, შეჯიბრების დირექტორს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი სასჯელი:

  ვარჯიშზე და კვალიფიკაცია 70 კმ.სთ.მდე - 100 ლარი ჯარიმა + 10 ლარი გადაჭარბებული თითოეული კილომეტრისათვის.
  71კმ.სთ და მეტი გადაჭარბებისათვის დამატებით 200 ლარი და 3 სასტრატო პოზიციით დაქვეითება პირველივე რბოლაზე რომელშიც მიირებს მონაწილეობას დამრღვევი დარღვევის შემდეგ.
  რბოლის დროს - მინიმუმ: ჯარიმა პუნქტი 16ის შესაბამისად
  ასევე, მიზანმიმართულად ნელი სვლა და სხვა მონაწილეების ბლოკირება სავალდებულო პიტ სტოპისას დასჯადია.
  შეჯიბრების კომისრებს შეუძლიათ გამოიყენონ დამატებითი სასჯელი განმეორებითი დარღვევისათვის

27.11 მონაწილე ავტომობილები, რომლებიც ღვრიან სითხეს სარბოლო მონაკვეთზე, სასწრაფო წესით უნდა გაჩერდნენ სარბოლო მონაკვეთის გასწვრივ უსაფრთხო ადგილას. მრბოლელებს ეკრძალებათ მოძრაობის გაგრძელება, როცა არსებობს ტრასის დაბიძურების საშიშროება.

27.12 მონაწილე ავტომობილების წინა, უკანა, ავარიულები, მოხვევის მანიშნებლები და გაბარიტული სანათები უნდა ფუნქციონირებდეს გამართულად, როდესაც გამოცხადდება წვიმის რბოლა მონაწილეები ვალდებულნი არიან აანთონ ფარები. შესაძლებელია შეჯიბრების დირექტორმა ფინიშის ზოლზე გამოფინოს ნიშანი „Lghts” რაც ავალდებულებს მრბოლელებს აანთონ ფარები.

27.13 შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს ინციდენტში მონაწილე ნებისმიერი ავტომობილის ან ისეთი სპორტული ავტომობილის გაჩერების მოთხოვნა შეუძლია, რომელსაც ჩათვლის, რომ არ უმუშავებს უკანა ფარები. ასეთი ავტომობილი შეძლებს რბოლაში დაბრუნებას შემოწმებისა და შეკეთბის შემდეგ.

27.14 განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება არის გამოსაჩენი, როდესაც სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ან/და სამაშველო ავტომობილები იმყოფება. მრბოლელებმა გზა უნდა დაუთმონ ასეთ ავტომობილებს.

27.15 აკრძალულია სპორტული ავტომობილით ნებისმიერი სახის ბიდონის გადატანა (ზეთი, წყალი, საწვავი)

27.16 სესიების დროს, დაუშვებელი არის ყველა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის ოფიციალურ პირებს ავტომობილის ვიზუალურ დათვალიერებაში (მაგ. ხელოვნური კედლის აღმართვა, ავტოფარეხში ავტომობილის შეყვანა და ჭიშკრის ჩამოკეტვა). გარდა იმ შემთხვევისა როცა ავტომობილი გამოთიშულია რბოლას.

დაშვებულია:

დაზიანებული ავტომობილის შეფუთვა

წვიმის შემთხვევაში ავტომობილის შეფუთვა დახურულ პარკში ან სასტარტო ბადეზე

გამათბობლის/გამაგრილებლის გამოყენება სასტარტო ბადეზე

შეჯიბრების ტექნიკური დელეგატის თანხმობით შესაძლებელია ავტოფარეხის ჭიშკრის ჩამოკეტვა ან ტენტის გადაფარება იმ შემთხვევაში თუ ავტომობილზე მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები სერიოზული ინციდენტის შემდეგ.

27.17 მრბოლელმა სამედიცინო მდგომარეობით (მაგ. ალერგია, დიაბეტი და ა.შ.) უნდა მიაწოდოს ღონისძიების ორგანიზატორს ადმინისტრაციულ შემოწმებამდე დეტალური ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ეს ინფორაცია (მრბოლელის სახელი და გვარით და ავტომობილის საბორტო ნომრით) გადაეცემა შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს და ღონისძიების ექიმს. მრბოლელმა ასევე უნდა აცნობოს ორგანიზატორს სხეულის დაზიანებებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ.

თავი 28 - სასიგნალო დროშები

სამაშველო სამსახურები და სარბოლო მონაკვეთის საკონტროლე პუნქტები ისე უნდა იყოს ორგანიზებული და მოწყობილი, როგორც ამას მინიმუმ ეროვნული რეგულაციები მოითხოვს. ყველა მრბოლელი ვალდებულია შეისწავლოს აღნიშნული მოთხოვნები. სასიგნალო დროშები არ ათავისუფლებს მრბოლელებს ვალდებულებისაგან თავიდან აიცილონ ნებისმიერი სახის პოტენციური რისკი რომელიც შეიძლება მიადგეთ მათ ან/და სხვა მრბოლელებს.

თავი 29 - ვარჯიში

29.1 შესაძლებლობების ფარგლებში, რბოლის დღეს, უნდა გაიმართოს მინიმუმ 1 (ერთი) და მინიმუმ 10 წუთიანი ვარჯიში.

29.2 ვარჯიშის შეწყვეტისას ვრცელდება შემდეგი დებულებები:

რბოლის დირექტორს/ხელმძღვანელს უფლება აქვს შეწყვიტოს ვარჯიში სარბოლო მონაკვეთზე ინციდენტის გამო, ან ამინდის გაუარესების გამო ან უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში რბოლის დირექტორი/ხელმძღვანელი გასცემს ბრძანებას წითელი დროშების გამოყენების შესახებ, რომლებიც გამოიფინება ყველა მარშლის პუნქტზე და ცენტრალურ შუქნიშანზე აინთება წითელი შუქები. ამ მომენტიდან გასწრება აკრძალულია, პიტ ლეინის გასასვლელი ჩაიკეტება და ყველა მრბოლელი ვალდებულია ნელი სვლით განაგრძონ მოძრაობე პიტ ლეინისაკენ და გაჩერდნენ მათი ავტოფარეხების წინ. სარბოლო მონაკვეთზე გაჩერებული ავტომობილების გამოყვანა მოხდება მარშლების მიერ. თუ შესაძლებელი იქნება ასეთ ავტომობილებს მიიყვანენ პიტ ლეინზე. ორგანიზატორი და ოფიციალური პირები არ არიან ვალდებულნი ასე მოიქცნენ.

შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი უფლებამოსილია შეწყვიტოს ვარჯიში იმდეჯერ და იმდენხანს რამდენჯერაც საჭიროდ ჩათვლის რათა მოხდეს დაზიანებული ავტომობილის გამოყვანა ან სარბოლო მონაკვეთის გაწმენდა.

განსხვავებით საკვალიფიკაციო სესიისა, ვარჯიშის შეწყვეტის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული სესია აღარ გაგრძელდეს და ღონისძიების განრიგი დარჩეს უცვლელი

პროტესტი მრბოლელისაგან ან წარმომადგენლისაგან სავარჯიშო სესიის შემცირებასთან, სესიის შეწყვეტასთან ან შეწყვეტილი სესიის არ გაგრძელებასთან დაკავშირებით არ მიიღება.

შეწყვეტილი სესია შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით

29.3 მრბოლელებს შესაძლებელია უარი ეთქვათ საკვალიფიკაციო ან რბოლის სტარტზე დაშვებაზე თუ შესრულებული არ ექნებათ მინიმუმ 2 სრული ჩათვლითი სავარჯიშო წრე.

29.4 პიტ ლეინის გასასვლელში უნდა იყოს წითელი, მწვანე და ლურჯი შუქნიშანი. მრბოლელებს მხოლოდ მაშინ აქვთ უფლება დატოვონ პიტ ლეინი როცა გასასვლელში მწვანე შუქი ანთია და აღნიშნული კლასის სესიაა. ლურჯი შუქნიშანი პიტ ლეინის გასასვლელში მიუთითებს მრბოლელს, რომელიც პიტ ლეინიდან გადის გზის დათმობის ვალდებულებაზე მრბოლელზე რომლიც იმყოფება სარბოლო მონაკვეთე.

29.5 ვარჯიში უნდა იყოს ქრონომეტრირებული

თავი 30 - კვალიფიკაცია

30.1 ვარჯიშის შედეგების მიხედვით მონაწილეები დაიყოფიან 3 ჯგუფად. თითოეული ჯგუფი გაივლის საკვალიფიკაციო 1 (ერთი) მინიმუმ 10 (ათი) წუთიან სესიას. თითოეულ ჯგუფში მონაწილეები გადანაწილდებიან ვარჯიშზე დაფიქსირებული დროის შედეგების

მიხედვით. თუ ჯგუფებში ვერხერხდება მონაწილეთა ერთნაირი რაოდენობის დაყოფა მაშინ ნაკლები მონაწილე იქნება იმ ჯგუფში, რომელ ჯგუფშიც მოხვდებიან ვარშიჯის შედეგების მიხედვით ლიდერები. საკვალიფიკაციო გარბენზე ჯერ გაივლიან მრბოლელები, III ჯგუფიდან, ვარჯიშის შედეგების მიხედვით ყველაზე ნელი მესამედი, შემდეგ II ჯგუფი და ბოლოს I ჯგუფი)ვარჯიშის შედეგების მიხედვით სწრაფი მრბოლელები. ჩემპიონატის დირექტორის/შეჯიბრების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით საკვალიფიკაციო სესიაზე მონაწილეები შეიძლება დაიყონ 2 (ორი) ჯგუფად. საკვალიფიკაციო გარბენს ჯერ გაივლიან II ჯგუფის მონაწილეები და შემდეგ I ჯგუფის მონაწილეები. სესიის რაოდენობა უცვლელია.

მონაწილე, რომელიც ვერ დააფიქსირებს დროს სავარჯიშო გარბენზე ავტომატურად III ჯგუფში ხვდება. თუ რბოლაზე რეგისტრირებული მრბოლელების მესამედზე მეტმა მრბოლელმა ვერ შეძლო სავაჯიშო დროის დაფიქსირება ასეთ შემთხვევაში მრბოლელების გადანაწილება საკვალიფიკაციო ჯგუფებში მოხდება ჩემპიონატის სატურნირო მდგომარეობის მიხედვით. თუ ჩემპიონატის პირველი კვალიფიკაციისას დაფიქსირდება აღნიშნული ინციდენტი მაშინ შეჯიბრების კომისრები მიიღებენ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას და მონაწილეებს დააჯგუფებენ საკვალიფიკაციო ჯგუფებში თავიანთი შეხედულებისამებრ. აღნიშნული პუნქტი შეიძლება შეიცვალოს და დარეგულირდეს შეჯიბრების დებულებით.

30.2 საკვალიფიკაციო გარბენის შედეგებში ჩაითვლება ის წრეები, რომლებზე დაფიქსირდება დრო. კვალიფიკაციაზე, დრო უნდა დაფიქსირდეს სარბოლო მონაკვეთზე (პიტ ლეინის გარეთ). სხვა შემთხვევაში დაფიქსირებული დრო არ ჩაითვლება, როგორც საკვალიფიკაციო დრო

30.3 თუ მრბოლელი დააფიქსირებს საუკეთსო დროს წრეზე, რომელზეც გამოფენილია ყვითელი დროშები და ეს დაფიქსირებული დრო იქნება იმაზე უფრო უკეთესი ვიდრე მისი წინა წრეების დრო, მაშინ ასეთი დრო გაუქმდება (წაიშლება). დამატებით სხვა სახის ჯარიმაც შეიძლება იყოს გამოყენებული შეჯიბრების კომისრების მიერ

30.4 თუ მრბოლელი გამიზნულად გააჩერებს ავტომობილის სხვა მონაწილის შეფერეხების მიზნით ან შეაფერხებს სხვა მონაწილეს ნებისმიერი სხვა ხერხით საკვალიფიკაციო სესიისას, შეჯიბრების კომისრებმა უნდა დააჯარიმონ დამნაშავე მონაწილე.

30.5 კვალიფიკაციის დასრულების შემდეგ, ყველა მონაწილე ავტომობილზე სრულდება დახურული პარკის რეჟიმი და ნებისმიერი დახმარება ან/და ტექნიკური სამუშაოები დაუშვებელია. აღნიშნული მოქმედებს ასევე ავტომობილებზე, რომლებმაც ვეღარ შეძლეს კვალიფიკაციის გაგრძელება.

დაუშვებელია ნებისმიერი ნივთიერიბს ამოღება ან დამატება ავტომობილში ნებისმიერ დროს როცა ავტომობილი მიემართება დახურული პარკისაკენ. ყველა ავტომობილი უნდა გაემართოს დახურული პარკისაკენ გაუჩერებლად. დახურული პარკის მდებარეობა გათვალისწინებულია ღონისძიების დებულებაში.

ნებისმიერი ავტომობილი რომელიც იმყოფება დახურლ პარკში უნდა იყოს დატოვებული ნეიტრალუ გადაცემაში და ხელის მუხრუჭზე.

30.6 ნებისმიერი მრბოლელი რომელიც ვერ შეძლებს საკვალიფიკაციო წრის შესრულებას ან საკვალიფიკაციო დროის დაფიქსირებას, რბოლაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ შეჯიბრების კომისრების ნებართვით. სავალდებულოა წერილობითი განცხადებით მიმართვა კომისრების სახელზე არა უგვიანეს ~~50~~ 70 წუთისა რბოლის სტარტამდე.

30.7 კვალიფიკაციის დასრულების შემდეგვე უნდა გამოქვეყნდეს მრბოლელების მიერ დაფიქსირებული სწრაფი წრეები. 2 (ორი) ან მეტი მრბოლელის მიერ დაფიქსირებული იდენტური დროის შემთხვევაში უკეთეს პოზიციას იკავებს მრბოლელი, რომელმაც ეს დრო დააფიქსირა პირველმა.

30.8 ნებისმიერი მრბოლელი, რომლის საუკეთესო საკვალიფიკაციო დრო გადააჭარბებს კვალიფიკაციაზე დაფიქსირებულ საუკეთესო დროს 110%ით, შესაძლებელია არ დაიშვას რბოლაზე.

30.9 გამონაკლისის სახით, თუ მრბოლელს ვარჯიშზე აქვს დაფიქსირებული შეჯიბრების კომისრებისათვის დამაკმაყოფილებელი დრო, შესაძლებელია შეჯიბრების კომისრებმა დაუშვან ასეთი მრბოლელი შეჯიბრებაზე. თუ ასეთი სიტუაცია ვრცელდება 2 (ორი) ან მეტ მრბოლელზე, ასეთი მრბოლელების სასტართო თანმიმდევორას გადაწყვიტავენ შეჯიბრების კომისრები

30.10 წერილობითი თხოვნა, სტარტზე დაშვებაზე უნდა მიეწოდოთ მრბოლელისაგან ან წარმომადგელისაგან შეჯიბრების კომისრებს არა უგვიანეს ~~50~~ 70 წუთისა რბოლის სტარტამდე

30.11 შეჯიბრების კომისრების ზემოთ ჩამთვლილი გადაწყვეტილებებზე აპელაცია არ მიიღება.

თავი 31 - კვალიფიკაციის შეწყვეტა - განმარტება

31.1 თუ კვალიფიკაცია შეწყდა კვალიფიკაციის დროის ამოწურვამდე 5 წუთით ადრე, ასეთ შემთხვევაში საკვალიფიკაციო სესია აღარ გარძელდება. ასეთ შემთხვევაში, სასტარტო ბადე განისაზღვრება მრბოლელების მიერ დაფიქსირებული სწრაფი წრეების შესაბამისად

31.2 თუ კვალიფიკაცია შეწყდა და კვალიფიკაციის დროის ამოწურვამდე დარჩენილია 5ზე მეტი, მაგრამ შეუძლებელია საკვალიფიკაციო სესიის გაგრძელება, შეჯიბრების კომისრების გადაწყვეტილებით შესაძლებელია სასტარტო ბადე განისაზღვროს საკვალიფიკაციო სესიაზე დაფიქსირებული დროის მიხედვით ან 30.8 პუნქტის შესაბამისად. თუ გარკვეული მიზეზების გამო, საკვალიფიკაციო სესია არ გაიმართება ან შეჯიბრების კომისრები ჩათვლიან საკვალიფიკაციო სესიას როგორც გაუქმებულს მაშინ: სასტარტო ბადე განისაზღვრება მიმდინარე ჩემპიონატის სატურნირო მდგომარეობის მიხედვით. გადამწყვეტი იქნება მრბოლელის პოზიცია, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა საკვალიფიკაციო სესიაში. თუ ჩემპიონატის პირველი შეჯიბრებაა, საასტარტო ბადე განისაზღვრება ვარჯიშის შედეგების მიხედვით.

თავი 32 - ვარჯიში/კვალიფიკაცია/რბოლა წვიმის შემთხვევაში

32.1 როდესაც შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი ნებას დართავს მრბოლელებს გამოიყენონ წვიმის საბურავი პუნქტი 24.5ის შესაბამისად, მონაწილეების გადასაწყვეტია როგორ ტიპის საბურავს გამოიყენებენ კვალიფიკაციის და რბოლის დროს (მშრალი ამინდის თუ წვიამიანი ამინდის საბურავი). აუცილებელია დაფის გამოფენა - „Wet Practice" ან „Wet Race"

32.2 შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს აქვს უფლება მოითხოვოს მხოლოდ წვიმის საბურავის გამოყენება.

32.3 თუ მინიმუმ 2 საკვალიფიკაციო სესია შედგა და შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი ჩათვლის, რომ შეუძლებელია პირველი ჯგუფის საკვალიფიკაციო სესიის გამართვა, მაშინ პირველ ჯგუფში არსებული მონაწილეების სასტარტო ბადეზე განლაგება მოხდება ვარჯიშის შედეგების მიხედვით. თუ საკვალიფიკაციო სესია შედგება 2 (ორი) ჯგუფისაგან და II ჯგუფის საკვალიფიკაციო სესია შედგება და შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი ჩათვლის, რომ შეუძლებელია პირველი ჯგუფის საკვალიფიკაციო სესიის გამართვა, მაშინ პირველ ჯგუფში არსებული მონაწილეების სასტარტო ბადეზე განლაგება მოხდება ვარჯიშის შედეგების მიხედვით.

თავი 33 - სასტარტო ბადე

33.1 ღონისძიებაზე რბოლა 1ის სასტარტო ბადე უნდა განისაზღვროს მრბოლელების მიერ კვალიფიკაციაზე დაფიქსირებული საუკეთესო დროების მიხედვით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტის დაცვით. ერთნაირი დროის დაფიქსირების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მრბოლელს, რომელმაც ეს დრო დააფიქსირა პირვლემა.

33.2 რბოლა 2-ის სასტარტო ბადე განისაზღვრება ~~მრბოლელების მიერ კვალიფიკაციაზე დაფიქსირებული შედეგების მიხედვით, სადაც პირველი 8 საუკეთო მრბოლელი (საკვალიფიკაციო დროით) სასტარტო ბადეზე დადგებიან რევერსულად (VIII დროის მქონე პილოტი დადგება პირველი, VII დროის მქონე პილოტი დადგება მეორე და ასე შემდეგ). IX დროის მქონე და ყოველი მომდევნო სასტარტო ბადეზე დაიკავებენ კვალიფიკაციისას დაფიქსირებული შედეგის შესაბამის პოზიციებს. ერთნაირი დროის დაფიქსირების შემთხვევაში უკეთეს პოზიციას იკავიებს მრბოლელი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა დრო.~~ რბოლა 1-ის შედეგების მიხედვით, სადაც პირველი 7 (შვიდი), 8 (რვა), 9 (ცხრა) ან 10 (ათი) საუკეთესო მრბოლელი (რბოლა 1-ის შედეგების მიხედვით) სასტარტო ბადეზე განლაგდებიან რევერსულად. სასტარტო ბადეზე რევერსულად დასადგომი მონაწილეების რაოდენობა განისაზღვრება შეჯიბრების ოფიციალურ ბრიფინგზე შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის მიერ კენჭისყრის პრინციპით. სასტრატო ბადეზე დარჩენილ პოზიციებზე მონაწილეები განლაგდებიან რბოლა 1-ის შედეგების მიხედვით.

33.3 თუ 2(ორი) და მეტი მონაწილე ვერ შეძლებს საკვალიფიკაციო დროის დაფიქსირებას, ასეთმა მონაწილეება უნდა მიმართონ წეროლობით შეჯიბრების კომისრებს და ნებართვის შემთხვევაში რბოლის სასტარტო ბადის ბოლო პოზიციებზე დადგებიან შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) მრბოლელები, რომლებმაც დაიწყეს საკვალიფიკაციო გაბენზე, საკვალიფიკაციო დროის დაფიქსირება

ბ) მრბოლელები, რომლებსაც არ დაუწყიათ საკვალიფიკაციო გარბენზე, საკვალიფიკაციო დროის დაფიქსირება

გ) მრბოლელები, რომლებიც არ გასულან საკვალიფიკაციო გარბენზე პიტ ლეინიდან

33.4 ნებისმიერ შემთხვევაში, მრბოლელი, რომლის საკვალიფიკაციო დრო გაუქმდა შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის ან შეჯიბრების კომისრების გადაწყვეტილებით, ასეთი მრბოლელი(ები) სასტარტო ბადეზე დადგებიან 33.3 პუნქტში აღწერილი მრობლელების შემდეგ.

33.5 საბოლოო სასტარტო ბადე გამოქვეყნდება არა უგვიანეს ~~60~~ 50 წუთისა რბოლის დაწყებამდე. კვალიფიცირებადი მონაწილე, რომელიც ვერ ახერხებს რბოლაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია წერილობით აცნობოს შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღანელს არაუგვიანეს ~~90~~ 70 წუთისა რბოლის დაწყებამდე.

33.6 ყველა სპორტული ავტომობილი სასტრატო ბადეზე განლაგებისას უნდა მოძრაობდნენ მხოლოდ სარბოლო ტრასის მოძრაობის მიმართულებით. არც პიტ ლეინზე და არც სარბოლო მონაკვეთზე დაშვებული არ არის ავტომობილის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა ან საპირისპირო მიმართულებით მიწოლით გაგორება გამონაკლისის სახით დშვებულია ავტომობილის მიწოლით გაგორება მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით როდესაც მონაწილე სპორტულ ავტომობილის სასტარტო ბადეზე არასწორი სასტარტო პოზიცია აქვს დაკავებული)

33.7 მონაწილე ავტომობილები რომლებიც იმყოფებიან პიტ ლეინზე იმ მომენტისათვის, როდესაც პიტ ლეინის გასასვლელი ჩაიკეტება (წუთელი შუქი აინთება პიტ ლეინის გასასვლელ შუქნიშანზე) უფლება არ არქვთ სასტარტო ბადე დაიკავონ.

ასეთი ავტომობილები სტარტს (გამახურებელი წრე ან რბოლა) აიღებენ მაშინ როდესაც სრული პელეტონი ჩაუვლის პიტ ლეინის გასასვლელს, რა დროსაც პიტ ლეინის გასასვლელში წითელი შუქი შეიცვლება მწვანე შუქით. ასეთი მონაწილეების სასტარტო ადგილი სასტარტო ბადეზე დარჩება ცარიელი და რბოლის სტარტს ასეთი პილოტი აიღებს პიტლეინიდან.

თავი 34 - სასტარტო რეჟიმი

34.1 რბოლის სასტარტო რეჟიმი - სტარტი ადგილიდან. სასტარტო ბადე ფრომირდება 2 რიგად (1x1 წრიული რბოლებში საავტომობილი სპორტის სტანდარტული სასტარტო ბადე). პირველი პოზიციის (Pole Position) მდებარეობა განსაზღვრულია თითოეული სარბოლო ტრასის, ეროვნული ფედერაციის ან FIA-ს მიერ გაცემულ ლიცენზიაში და აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ღონისძიების დებულებაში

თავი 35 - სტარტი/სტარტის გადადება

*** დამატებითი სასტარტო პროცედურა შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს შეჯიბრების ეტაპის კონკრეტული რბოლისათვის შეჯიბრების ეტაპის დებულებაში.**

35.1 არაუგვიანეს ~~15~~ 20 წუთისა რბოლის სტარტამდე, პიტ ლეინის გასასვლელი გაიხსნება და რბოლაზე დაშვებულ მონაწილეებს უფლება ექნებათ გაემართონ სასტარტო ბადისაკენ.

ამავე წრის ბოლოს, მონაწილეები მიუახლოვდებიან სასტარტო ბადეს და ადამიანის მოძრაობის სიჩქარით მონაწილეები უნდა გაჩერდნენ მათთვის განკუთვნილ სასტარტო პოზიციაზე.

ავტომობილის ძრავი უნდა გამოირთოს.

არაუგვიანეს ~~5~~ 10 წუთისა რბოლის სტარტამდე პიტ ლეინის გამოსასვლელი უნდა ჩაიკეტოს.

მონაწილე ავტომობილები, რომლებიც ვერ გამოვიდნენ, უფლება აქვთ სტარტი აიღონ პიტ ლეინიდან გამახურებელი წრის გავლის შემდეგ. ასეთი მონაწილეები გაივლიან გამახურებელ წრეს, შევლენ პიტლეინზე და სარტს აიღებენ პიტლეინიდან.

35.2 რბოლის სტარტის მოახლოება გამოცხადდება ნიშნების მეშვეობით, რომელიც მიუთითებს დარჩენილ დროს და თან ახლავს ხმოვანი სიგნალი, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ნიშანი „15 წუთი“:

უკუთვლა. პიტ ლეინის გასასვლელი გახსნილია (მწვანე შუქი პიტ ლეინის გასასვლელ შუქნიშანზე) რბოლის სტარტი 15 წუთში

ბ) ნიშანი „5 წუთი“:

მრბოლელი უნდა იჯდეს მძღოლის ადგილას, სრული ეკიპირებით, მზად რბოლისათვის.

მხოლოდ გუნდის წევრებს და ოფიციალურ პირებს აქვთ უფლება იყვნენ სასტარტო ბადეზე. რბოლის სტარტი 5 წუთში.

საბურავების ცვლილება სასტარტო ბადეზე დაშვებულია 5 წუთის ნიშნამდე

როდესაც გამოიფინება ნიშანი „5 წუთი“ მონაწილე ავტომობილების ოთხივე საბურავი დამაგრებული უნდა იყოს. აღნიშნული ნიშნის შემდეგ საბურავების მოხსნა დაშვებულია მხოლოდ პიტ ლეინზე ავტოფარეხის წინ. დაუშვებელია ნებისმიერი სარემონტო სამუშაოები ავტომობილებზე გარდა საბურავის წნევის შემოწმებისა.

მონაწილე, რომლის საბურავებიც არ არის სრულად დამაგრებული დაჯარიმდება “Drive Through” ჯარიმით

გ) ნიშანი „3 წუთი“:

ყველა ავტომობილზე დამაგრებული უნდა იყოს საბურავები. ავტომობილები უნდა იყოს დაშვებული და იდგეს ასფალტზე (აწევა აკრძალულია). დამრღვევი დაჯარიმდება პუნქტი 16-ის შესაბამისად. რბოლის სტარტამდე დარჩენილია 3 წუთი.

აკრძალული ავტმობილებზე ტექნიკური სამუშაოების ჩატარება. დაშვებულია საბურავის წნევის შემოწმება

მონაწილე, რომელიც დაარღვევს „3 წუთი“ მოთხოვნებს ან შემჩნეული იქნება სხვა ქმედებებში რაც შეიძლება დაუშვებელი იყოს, დაჯარიმდება “Drive Through” ჯარიმით

დ) ნიშანი „1 წუთი“:

ყველა ავტომობილი უნდა დაიქოქოს. მონაწილეები სხედან თავიანთ ავტმობილებში. ყველა სხვა პირმა უნდა დატოვოს სასტარტო ბადე შეყოვნების გარეშე. რბოლამდე დარჩენილია 1 წუთი

ე) ნიშანი „30 წამი“:

სტარტამდე დარჩენილია 30 წამი

ამ ნიშნის გამოფენიდან 30 წამის შემდეგ ბოლო წითელი შუქი ჩაქრება ცენტრალურ შუქნიშანზე და მწვანე ნათურები აინთება. ავტომობილები დაიძვრებიან გამახურებელ წრეზე უსაფრთხოების ავტომობილს გარეშე და ვალდებულება აქვთ შეინარჩუნონ სასტარტო პოზიციები სრული გამახურებელი წრის განმავლობაში. ამ წრის განმავლობაში, მონაწილეები უნდა შეეცადნონ, რომ პელეტონი არ გაიშალოს და მაქსიმალურად მჭიდროდ მოძრაობდნენ (დისტანცია წინა ავტომობილთან არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი) ავტომობილის სიგრძეს). ბუქსაობით დაძვრამ ან ჩამორჩენამ შეიძლება გამოიწვიოს დაჯარიმება შეჯიბრების კომისრების მიერ.

ვ) ნიშანი „15 წამი“:

სტარტამდე დარჩენილია 15 წამი

სასტარტო ბადე თავისუფალია გამახურებელი წრის დასაწყებად. მონაწილის ავტომობილზე გუნდის წარმომადგენლის შეხების შემთხვევაში მონაწილე დაჯარიმდება “Drive Through” ჯარიმით. “Drive Through” ჯარიმით დაჯარიმდება მონაწილე, რომელიც შეფერხდება პიტლეინიდან სტარტის აღებისას.

35.3 გასწრება გამახურებელ წრეზე დაშვებულია თუ ავტომობილი დაიგვიანებს დაძვრას სასტრატო პოზიციიდან. ასეთ შემთხვევაში დაგვიანებულ ავტომობილს უფლება აქვს გადაასწროს ყველა იმ ავტომობილს, რომლებიც გაატარა რათა აღდგეს სასტარტო ბადის თანმიმდევრობა.

35.4 ნებისმიერი მრბოლელი რომელიც ბოლოს დაიძვრება სასტარტო ბადიდან არ აქვს უფლება სასტარტო ბადის თანმიმდევრობის აღდგენის მიზნით გადაასწროს მონაწილეებს. ასეთ შემთხვევაში მონაწილე რბოლის სტარტს აიღებს პელეტონის ბოლოდან (თუ ყველა ავტომობილმა გადაკვეთა სტარტის ზოლი და აღნიშნული მონაწილე ისევ სასტარტო ბადეზე დგას). თუ აღნიშნულში მონაწილეობს ორი და მეტი მრბოლელი, მაშინ სასტარტო ბადის ბოლოში მრბოლელები დადგებიან იმ თანმიმდევრობით რა თანმიდევრობითც დატოვეს სასტარტო ბადე.

35.5 თუ მრბოლელი ვერ ახერხებს გამახურებელ წრეზე ავტომობილის დაძვრას სასტარტო ბადიდან, მან უნდა ანიშნოს ოფიციალურ პირებს შესაბამისი ხერხით (გამოიყენოს ხმოვანი სიგნალი, ხელის აწევით და ა.შ.). პელეტონში მდგომმა მონაწილეება უნდა დაიცვან სასტარტო თანმიმდევრობა როდესაც გაასწრებენ გაჩერებულ მონაწილეს. პელეტონის გავლის შემდეგ, გუნდის მექანიკოსს აქვს უფლება მაქსიმუმ 30 წამის განმავლობაშ გაუწიოს ტექნიკურ დახმარება. მექანიკოსს უფლება აქვს გამოიყენოს მხოლოდ ავტომობილის გარე დამქოქი საშუალება. დაუშვებელია ავტომობილის მიწოლით დაქოქვა. თუ მექანიკოსის დახმარებით ავტომობილი დაიქოქება და შეძლებს გამახურებელი წრის დაწყებას, უფლება აქვს მრბოლელს სასტარტო ბადეზე დაიკავოს ბოლო პოზიცია, დაუშვებელია სასტარტო ბადეზე დაკარგული პოზიციის დაბრუნების მიზნით მონაწილეების გადასწრება. თუ გამახურებელი წრის სასტარტო ბადეზე შეყოვნდა 2 (ორი) ან მეტი ავტომობილი, შეყოვნებული ავტომობილები გამახურებელი წრის ბოლოს სასტარტო ბადეზე დაიკავებენ ბოლო პოზიციებს იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც დატოვეს გამახურებელი წრის სასტარტო ბადე. თუ ავტომობილის ამუშავება ვერ მოხდა 30 წამის განმავლობაში, მაშინ დაზიანებული ავტომობილი უნდა გადაგორდეს პიტ ლეინზე, სადაც მექანიკოსები შეძლებენ ავტომობილის ტექნიკურ შეკეთებას. შეკეთების შემდეგ მრბოლელი შეძლებს სტარტის აღებას პიტ ლეინიდან.

35.6 ნებისმიერი მრბოლელი, რომელიც შეჯიბრების დირექტორის აზრით გამახურებელ წრეზე წესების დარღვევით გადაასწრებს წინ მიმავალ ავტომობილს დაჯარიმდება მინიმუმ ერთი ჯარიმით პუნქტი 16ის თანახმად

35.7 გამახურებელი წრის შემდეგ მონაწილეებმა უნდა დაიკავონ მათთვის განკუთვნილი სასტარტო პოზიციები (ზემოთ აღწერილის შესაბამისად). სასტარტო ბადეზე ცარიელი ადგილის შევსება დაუშვებელია.

როდესაც ყველა ავტომობილი გაჩერდება კუთვნილ სასტარტო პოზიციაზე (ავტომობილები უნდა იყოს დაქოქილი) მარშალი, სასტარტო ბადის ბოლოში ააფრიელებს მწვანე დროშას. ამის შემდეგ, ცენრალურ შუქნიშანზე აინთება პირველი წითლი შუქი რაც მიუთითებს 5 წამს

რბოლის სტარტამდე, მიყოლებით ოთხი, სამი, ორი და ერთი წამის ნიშანი რბოლის სტარტამდე (ერთი წითელი - 5 წამი, ორი წითლი -4, სამი წითლი -3, ოთხი წითლი - 2, ხუთი წითლი -1). ხუთივე წითლის ანთების შემდეგ წითლი შუქები შეიძლება გამოირთოს ნებისმიერ დროს, რაც რბოლის დაწყებას მიუთითებს. რბოლა დაიწყება მას შემდეგ რაც წითლი შუქები ჩაქვრება.

რბოლის დაწყებისას პიტის კედელზე (Pit Wall) არავინ არ დაიშვება.

35.8 თუ, მრბოლელი გამახურებელი წრის მერე, სასტარტო პოზიციაზე დგომისას გაანალიზებს, რომ რბოლის დაწყება მისთვის შეუძლებელია, მან უნდა შეატყობინოს ოფიციალურ პირებს ხელის აწევით, ავტომობილის კარის გაღებით, ფარების ანთებით ან ნებისმიერი სხვა ხერხით რომელიც ნათლად აღქმადი იქნება რბოლის სტარტერისათვის.

ასეთ შემთხვევაში, სტრიქონზე პასუხისმგებელი მარშალი ააფრიალებს ყვითელ დროშას. სტარტერის პასუხისმგებლობაა სტარტის პროცედურის შეწყვეტა. თუ სტარტრი გადაწყვეტს სტარტის პროცედურის შეწყვეტას, ყვითელი მოციმციმე შუქები აინთება ცენტრალურ შუქნიშანზე, გამოიფინება შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის კოშკურაზე ნიშალი “Extra Formation Lap” (დამატებითი გამახურებელი წრე) და დაახლოებით 2-3 წამის შემდეგ ცენტრალურ შუქნიშანზე აინთება მწვანე შუქი, რაც მრბოლელებს აცნობებს დამატებითი გამახურებელი წრის დაწყების შესახებ. დაზიანებულ ავტომობილს გადააგორებენ პიტ ლეინზე. შეჯიბრების დირექტორის გადაწყვეტილებით დაზიანებული ავტომობილი შეიძლება გადაყვანილი იყოს სხვა უსაფრთხო ადგილზე. ასეთი ავტომობილების შეკეთება დაშვებულია პიტ ლეინზე (ავტოფარეხში ან ავტოფარეხის წინ), შეკეთების შემთხვევაში მრბოლელს უფლება ექნება სტარტი აიღონ პიტ ლეინიდან, მას შემდეგ რაც ყველა მრბოლელი ჩაუვლის პიტ ლეინის გასასვლელს. თუ ერთი ან რამდენიმე ავტომობილი აღმოჩდება ზემოთ აღწერილ სიტუაციაში, სასტარტო პოზიცია პიტ ლეინზე ექნებათ ისეთი როგორი თანმიმდევრობითაც მივლენ პიტ ლეინის გასასვლელთან.

35.9 ავტომობილები რომლებიც სტარტს იღებენ პიტ ლეინიდან, პირველი წრე შეუსრულდებათ მაშინ როდესაც გადაკვეთავენ ფინიშის ხაზს პირველად.

35.10 რამდეჯერაც ნაჩვენები იქნება ნიშანი „Extra Formation Lap”, იმდენი 1 (ერთი) წრით შემცირდება რბოლის განრიგით გათვალისწინებული წრეების საერთო რაოდენობა.

35.11 თუ სტარტერი გადაწყვიტავს, რომ სტარტი უნდა გაუქმდეს, ვრცელდება შემდეგი პროცედურა:

ყვითელი მოციმციმე ნათურები უნდა ჩაირთოს ცენტარლუ შუქნიშანზე და გამოიფინოს ნიშანი „START DELAYED” (სტარტი გადაიდო).

ავტომობილების ძრავები უნდა გამოირთოს. ახალი, გამახურებელი წრე დაიწყება 5 წუთში, შემდეგი ნიშანი იქნება „3 წუთი“ (სამი წითლი შუქი იქნება ანთებული ცენტრალურ შუქნიშანზე) ვრცელდება იგივე პროცედურა, რაც აღწერილია 37.2 პუნქტში.

რამდეჯერაც ნაჩვენები იქნება ნიშანი „START DELAYED”, იმდენი 2 (ორი) წრით შემცირდება რბოლის განრიგით გათვალისწინებული წრეების საერთო რაოდენობა.

მრბოლელი, რომელიც გამოიწვევს “START DELAYED” ნიშანის გამოფენას, რბოლას დაიწყებს სასტარტო ბადის ბოლოდან. გათავისუფლებული სასტარტო პოზიცია უნდა დარჩეს თავისუფალი.

35.12 სტარტის ნიშანი გაიცემა მაშინ, როცა სტარტერი გამორთავს წითელ შუქებს ცენტრალურ შუქნიშანზე.

სასტარტო პროცედურისას, სასტარტო პროცედურის დაცვას და რეგულაციების დაცვას კონტროლს სტარტის მარშლები უწევენ. თუ სტარტის ნიშანი იყო მიცემული, ავტომობილი(ები) რომლიც ვერ დაიძრა, გადაყვანილი (შესაძლებლობების ფარგლებში) იქნება პიტ ლეინზე მარშლების მიერ. შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის მოთხოვნით შეიძლება გადაყვანილი იყოს სხვა, უსაფრთხო ადგილას. ~~ასეთი ავტომობილების შეკეთება დაშვებულია პიტ ლეინზე (ავტოფარეხში ან ავტოფარეხის წინ), შეკეთების შემთხვევაში მრბოლელს უფლება ექნება სტარტი აიღონ პიტ ლეინიდან, მას შემდეგ რაც ყველა მრბოლელი ჩაუვლის პიტ ლეინის გასავლელს. თუ ერთი ან რამდენიმე ავტომობილი აღმოჩდება ზემოთ აღწერილ სიტუაციაში, სასტარტო პოზიცია პიტ ლეინზე ექნებათ ისეთი როგორი თანმიმდევრობითაც მივლენ პიტ ლეინის გასასვლელთან. ავტომობილები რომლებიც სტარტს იღებენ პიტ ლეინიდან, პირველი წრე შეუსრულდებათ მაშინ როდესაც გადაკვეთავენ ფინიშის ხაზს პირველად.~~

35.13 თუ ძლიერი წვიმამ გამოიწვია რბოლის სტარტის გადადება შეჯიბრების დირექტორი/ხელძღვანელი მოქმედებენ: თუ წვიმა დაიწყო ნიშნის „5 წუთი“ შემდეგ, მაგრამ გამახურებელი წრის სტარტამდე, გამოიფინება ნიშანი „START DELAYED” სტარტის და ფინიშის ხაზებზე და სასტარტო პროცედურა დაიწყება 10 წუთიანი უკუთვლით (ცენტრალურ შუქნიშანზე 5 წითელი აციმციმდება ორჯერ). მას შემდეგ მოქმედებს პროცედურა აღწერილი 35.2ში

35.14 თუ რბოლის სტარტი მოახლოებულია და შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის აზრით შეუძლებელია უსაფრთხოდ რბოლა ნალექის რაოდენობიდან გამომდინარე , ცენტრალურ შუქნიშანზე აციმციმდება ყვითელ შუქები და “START DELAYED” ნიშანი გამოიფინება.

რამდეჯერაც ნაჩვენები იქნება ნიშანი „START DELAYED”, იმდენი 2 (ორი) წრით შემცირდება რბოლის განრიგით გათვალისწინებული წრეების საერთო რაოდენობა.

35.15 ფალს სტარტი (Jump Start):

ფალს სტარტი განისაზღვრება, როგორც მნიშვნელოვანი მოძრაობა (რბოლის მოძრაობის მიმართულებით) 4 წამის ნიშანსა და სტარტამდე. ფალს სტარტის ჩამდენი უნდა დაჯარიმდეს შეჯიბრების კომისრების მიერ პუნქტი 16ის შესაბამისად.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეჯიბრების კომისრებს უფლება აქვთ გამოიყენონ დამატებისი ჯარიმები

35.16 დამატებითი კვების წყაროს გამოყენება შესაძლებელია სასტარტო ბადეზე, სამუშაო ზონაში (პიტ ლეინი), მონაწილის ავტოფარეხი ან მონაწილის ავტოფარეხის წინ და პიტ ლეინის გასასვლელში იმ შემთხვევაში თუ მონაწილე სტარტს იღებს პიტ ლეინიდან.

თავი 36 - უსაფრთხოების ავტომობილი

36.1 უსაფრთხოების ავტომობილი ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი მართვა წრიული რბოლის ტრასაზე, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს იმ ტემპით მოძრაობა რა ტემპითაც მოძრაობენ სარბოლო ავტომობილები.

ავტომობილს უნდა ქონდეს მინიმუმ ორი სავარძელი, ორი ან ოთხი კარი და უკან კარგი ხედვის საშუალებას უნდა იძლეოდეს. უსაფრთხოების კარკასის მონტაჟი რეკომენდირებულია „საქართველოს საავტომობილის სპორტის ფედერაციის“ მოთხოვნების შესაბამისად, ისევე როგორც სპორტული უსაფრთხოების ღვედების მონტაჟი.

ავტომობილიზე უნდა იყოს წარწერები (როგორც უკან ასევე გვერდებზე) “SAFETY CAR” ისეთივე ზომის როგორიც მონაწილე ავტომობილების საბორტო ნომრებია. ასევე დამონტაჟებული უნდა იყოს ადვილად აღქმადი და გარჩევადი ყვითელი ან ნარინჯისფერი ციმციმა და მწვანე ციმციმა რომელიც განკუთვნილია მონაწილე ავტომობილებისათვის. ციმციმები უნდა იყოს დამონტაჟებული კარგად და მყარად, რათა შესაძლებელი იყოს ავტომობილით მაქსიმალური სიჩქარის დაფიქსირება.

უსააფრთხოების ავტომობილის მძღოლს უნდა ქონდეს სარბოლო გამოცდილება. ავტომობილში ასევე უნდა იჯდეს დამკვირვებელი, რომელსაც უნდა შეეძლოს ყველა სპორტული ავტომობილის იდენტიფიცირება და რომელიც მუდმივ კავშირზე უნდა იყოს შეჯიბრების საკონტროლო პუნქტთან. ეკიაჟის წევრებს უნდა ეცვათ „სსსფ“-ს მიერ დადგენილი წესის შესაბამისი უსაფრთხოების კომბინიზონი და უსაფრთხოების ჩაფხუტი.

36.2 შეჯიბრების დირექტორს/ხელმძღვანელს შეუძლია გამოიძახოს უსაფრთხოების ავტომობილი რათა:

- გაანეიტრალოს რბოლა როდესაც მონაწილეები ან/და შეჯიბრების ოფიციალური პირები არიან საფრთხის წინაშე მაგრამ აღნიშნულია სიტუაცია არ მოითხოვს რბოლის შეწყვეტას.
- რბოლის სტარტის არაორდინალური სიტუაციისას (ცუდი ამინდი)
- შეწყვეტილი რბოლის გაგრძელება (რესტარტი)

36.3 ორი უწყვეტი უსაფრთხოების ავტომობილის ხაზი, თითოეული 20სმ სიგანის, უნდა იყოს გახაზული სარბოლო მონაკვეთის გადაღმა პიტ ლეინის შესასვლელთან და პიტ ლეინის გასასვლელთან შემდეგნაირად:

- უსაფრთხოების ავტომობილის ხაზი 1: უნდა იყოს ისეთ ადგილას, სადაც გონივრული იქნებოდა მრბოლელებისათვის, რომლებიც შედიან პიტ ლეინზე გადაასწრონ უსაფრთხოწების ავტომობილს ან სხვა ავტომობილებს, რომლებიც სარბოლო მონაკვეთზე რჩებიან. ასევე უნდა იყოს წერტილი, რომლის შემდეგაც სპორტულ ავტომობილებს უფლება აქვთ გადაასწრონ უსაფრთხოების ავტომობილის, რომელიც შედის პიტ ლეინზე.
- უსაფრთხოების ავტომობილის ხაზი 2: წერტილი, რომლის შემდეგაც პიტ ლეინიდან გამომავალმა ავტომობილებმა უნდა იმოძრაონ სარბოლო რეჟიმში. ამ ზოლამდე, ავტომობილებს, რომლებიც იმყოფებიან სარბოლო მონაკვეთზე უფლებ აქვთ გადაასწრონ ავტომობილებს, რომლებიც იმყოფებიან პიტ ლეინზე. ხაზის შემდეგ, გასწრება ავტომობილებზე, რომლებიც გამოდიან პიტ ლეინიდან აკრძალილია.

36.4 ~~15~~ 20 წუთი რბოლის დაწყებამდე - უსაფრთხოების ავტომობილმა უნდა დაიკავოს პოზიცია სასტარტო ბადის წინ და დარჩეს აღნიშნულ ადგილზე ნიშნამდე „5 წუთი“. ამ შემთხვევაში (გარდა 36.14 პუნქტში აღწერილი შემთხვევისა) უსაფრთხოების ავტომობილმა უნდა გაიაროს სრული სარბოლო მონაკვეთი, შევიდეს პიტ ლეინზე და გაჩერდეს ადგილას, რაც მითითებულია შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის მიერ.

36.5 შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის მიერ უსაფრთხოების ავტომობილის გამოძახების შემთხვევაში ყველა სადამკვირვებლო პუნქტზე (მარშლების პუნქტები) უნდა ფრიალებდეს ყვთელი დროშები და გამოფენილი უნდა იყოს ნიშნაი „SC” იმ დრომდე ვიდრე უსაფრთხოების ავტომობილი არ დატოვებს სარბოლო მონაკვეთს. ყველა სპორტულმა ავტომობილმა უნდა შეანელოს მოძრაობა.

36.6 უსაფრთხოების ავტომობილი, ყვითლი/ნარინჯისფერ ციმციმებ ჩართული უნდა შევიდეს სარბოლო მონაკვეთზე გამოძახებისთანავე მიუხედავად იმისა, თუ სად იყოფება ლიდერი.

36.7 ნებისმიერ ავტომობილი რომელიც მოძრაობს ზედმეტად ნელა ან ქაოტურად, უნდა ეცნობოთ შეჯიბრების კომისრებს. ეს ეხება ავტომობილებს, რომლებიც იმყოფებიან სარბოლო მონაკვეთზე ასევე ავტომობილებს პიტ ლეინის შესასვლელთან და პიტ ლეინზე.

36.8 ყველა მონაწილე სპორტული ავტომობილი უნდა განლაგდეს უსაფრთხოების ავტომობილის უკან სწორხაზოვნად და უნდა შეინარჩუნინ არა უმეტეს 5 ავტომობილის დისტანცია. გამონაკლისის გარდა (ქვემოთ ჩამოთვლილი), გასწრება აკრძალულია იმ მომენტამდე სანამ მონაწილე ავტომობილები არ გადაკვეთავენ ფინიშის ხაზს მას შემდეგ რაც უსაფრთხოების ავტომობილი შევა პიტ ლეინზე.

გასწრება დაშვებული უნდა იყოს შემდეგ შემთხვევებში:

- უსაფრთხოების ავტომობილი ანიშნებს მონაწილე ავტომობილს, რომ გასწრების უფლება აქვს
- პუნქტი 36.14 მიხედვით
- ნებისმიერ სპორტული ავტომობილი, რომელიც შედის პიტ ლეინზე უფლება აქვს გადაასწროს უსაფრთხოების ავტომობილს და იმ ავტომობილებს რომლებიც

სარბოლო მონაკვეთზე იმყოფებიან მას შემდეგ რაც გადაკვეთავს უსაფრთხოების ავტომობილის ხაზი 1-ს

- ნებისმიერი ავტომობილი რომელიც პიტ ლეინზე იმყოფება შეიძლება გადასწრებული იყოს ავტომობილების მიერ, რომლებიც სარბოლო მონაკვეთზე იმყოფებიან იმ მომენტამდე ვიდრე არ გადაკვეთს უსაფრთხოების ავტომობილის ზოლი 2-ს
- როდესაც უსაფრთხოების ავტომობილი გავა სარბოლო მონაკვეთიდან და შედის პიტ ლეინზე, ნებისმიერ ავტომობილს აქვს უფლება გადაასწროს უსაფრთხოების ავტომობილს მას შემდეგ რაც გადაკვეთავენ უსაფრთხოების ავტომობილის ხაზი 1-ს
- ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც გაჩერებულია მისი ავტოფარეხის წინ იმ დროს როცა უსაფრთხოების ავტომობილი გასავლელად იყენებს პიტ ლეინს შესაძლებელია გასწრებული იქნას სხვა ავტომობილების მიერ
- როდესაც სხვა ავტომობილი შენელდება აშკარა პრბოლემის გამო.

36.9 შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის მითითებით, უსაფრთხოების ავტომობილს შეუძლია გამოიყტენოს მწვანე ციმციმა, რომელიც ამცნობს მონაწილეებს, რომლებიც უსაფრთხოების ავტომობილს და რბოლის ლიდერს შორის არიან გაასწრონს უსაფრთხოების ავტომობილს და საჭიროების შემთხვევაში რბოლის ლიდერსაც. აღნიშნული ეხებთა მხოლოდ მონაწილეებს, რომლებიც უშუალოდ უსაფრთხოების ავტმობილის უკან არიან. მონაწილეებს, რომლებსაც ნებას დართავენ გაასწრონ უსაფრთხოების ავტომობილს, უნდა განაგრძონ მოძრაობა შესაბამისი შიჩქარით და სხვა მონაწილეებზე გადასწრების გარეშე იმ დრომდე, სანამ არ მიუახლოვდებიან უსაფრთხოების ავტომობილის უკან მყოფ პელეტონს.

36.10 უსაფრთხოების ავტომობილი უნდა დარჩეს სარბოლო მონაკვეთზე მინიმუმ იმ დრომდე, სანამ ლიდერი მის უკან არ აღმოჩნდება. რბოლის ლიდერმა უსაფრთხოების ავტომობილის უკან უნდა შეინარჩუნოს 5 (ხუთი) ავტომობილის დისტანცია (გარდა შემთხვევისა 36.11), ლიდერი ავტომობილის უკან მყოფი ავტომობილები უნდა მოძრაობდნენ მაქსიმალურად შემჭიდროებულად

36.11 უსაფრთხოების ავტომობილის ტრასაზე ყოფნისას მონაწილეებს უფლება აქვთ შევიდნენ პიტ ლეინზე. მონაწილეს ეკრძალება უსაფრთხოების ავტომობილის გასწრება პიტ ლეინზე შესვლისას.

მონაწილეებს უფლება აქვთ სარბოლო მონაკვეთზე დაბრუნდნენ როდესაც პიტ ლეინის გასასვლელში მწვანე აინთება. პიტ ლეინის გასასვლელში მწვანე შუქი უნდა ეთოს ყოველთვის გარდა შემთხვევისა, როდესაც უსაფრთხოების ავტომობილი და მის უკან მყოფი პელეტონი ცდებიან ან უნდა გაცდნენ პიტ ლეინის გასასვლელს. ავტომობილი, რომელიც ბრუნდება სარბოლო მონაკვეთზე უნდა იმოძრაოს შესაბამის სიჩქარით იმ მომენტამდე სანამ არ დაეწევა უსაფრთხოების ავტომობილის უკან მყოფ პელეტონს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეჯიბრების დირექტორმა/ხელმძღვანელმა შეიძლება მისცეს მითითება უსაფრთხოების ავტომობილს მასზე, რომ ამ უკანსაკნელმა გამოიყენოს

პიტ ლეინი ან სარბოლო მონაკვეთის სხვა ნაწილი. ასეთ შემთხვევაში ყვითელი/ნარიჯისფერი განათებები რჩება ჩართული, ყველა მონაწილე ავტომობილი ვალდებულია გაყვეს უსაფრთხოების ავტომობილს გასწრების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მონაწილეებს უფლება აქვთ გაჩერდნენ მათი ავტოფარეხის წინ. ზოგადად, ყველა მონაწილე ავტომობილი ვალდებულია მიყვებოდეს უსაფრთხოების ავტომობილს, როდესაც ჩართულია ყვითლი/ნარიჯისფერი ციმციმები.

36.12 როდესაც შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი მოსთხოვს უსაფრთხოების ავტომობილს სარბოლო მონაკვეთიდან მის კუთვნილ ავტოფარეხთან დაბრუნებას, უსაფრთხოების ავტომობილი გამორთავს ყვითლ/ნარიჯისფერ ციმციმებს, რაც ამცნობს მონაწილეებს იმაზე, რომ მიმდინარე წრის ბოლოს უსაფრთხოების ავტომობილი გავა სარბოლო მონაკვეთიდან და მონაწილეებს უფლება ექნებათ განაგრძონ რბოლა (თუ ეს ყველაფერი რბოლის ბოლო წრეზე არ ხდება).

ასეთ შემთხვევაში ლიდერ ავტომობილს (უსაფრთხოების ავტომობილის უკან) შეუძლია პელეტონის დარჩენილ მონაწილეებს მიუთითოს სიჩქარის ტემპი და საჭიროების შენმთხვევაში ჩამორჩეს უსაფრთხოების ავტომობილს დაშვებულზე მეტი მანძილით. რესტარტამდე ინციდენტების ალბათობის შესამცირებლად და თავიდან ასარიდებლად, აღნიშნული მომენტიდან ყველა მონაწილე ავტომობილი უნდა მოძრაობდეს ერთი ტემპით რაც გულისხმობს დამუხრუჭების აკრძალვას. აჩქარება-შენელებას ან სხვა რისკის შემცველ მანევრირებას იმ მომენტამდე სანამ უსაფრთხოების ავტომობილი არ გადავა პიტ ლეინისაკენ.

როდესაც უსაფრთხოების ავტომობილი მიაღწევს პიტ ლეინის შესასვლელს, ნიშანი „SC" და ყვითელი დროშები მოხსნილი უნდა იყოს მარშლების პუნქტებიდან, უნდა აფრიალდეს მწვანე დროშები და აინთოს მწვანე შუქი ცენტრალურ შუქნიშანზე, რომელიც შეიძლება დარჩეს ანთებული იმ მომენტამდე სანამ ბოლო ავტომობილი არ დაასრულებს რბოლას.

36.13 უსაფრთხოების ავტომობილის უკან გავლილი ყოველი წრე არ ითვლება რბოლის წრეების საერთო ჩათვლაში მაგრამ კომისრების გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს

36.14 იმ შემთხვევში თუ უსაფრთხოების ავტომობილი რბოლის ბოლო წრეზეა, ვალდებულია გამორთოს ყვითელი/ნარიჯისფერი ციმციმა და შევიდეს პიტ ლეინზე. მონაწილე ავტომობილებს უფლება აქვთ გააგრძელო მოძრაობა სარბოლო ტრასაზე, ფინიშის ზოლზე იფრიალებს ფინიშის დროშა, რაც მიანიშნებს რბოლის დასასრულზე. მონაწილეებს ეკრძალებათ გასწრება. ყველა დარჩენილ სადამკვირვებლო პუნქტი (მარშლის პუნქტი) აფრიალებს ყვითელ დროშას.

36.15 გამონაკლის შემთხვევებში და რბოლის შემწყვეტის შემთხვევეში 38.5-ის შესაბამისად, რბოლა შეიძლება განახლდეს უსაფრთხოების ავტომობილით. ასეთ

სიტუაციაში, უსაფრთხოების ავტომობილს შეუძლია ჩართოს ყვითელი/ნარიჯიშფერი ციმციმა ნებისმიერ დროს ნიშნამდე „1 წუთი“. ეს არის ნიშანი მონაწილეებისათვის იმისა, რომ რბოლა განახლდება უსაფრთხოების ავტომობილის უკან მიდევნებით. მარშლების ყველა პუნქტმა უნდა გამოფინოს ნიშანი „SC” და აფრიალოს ყვითელი დროშა.

როდესაც აინთება მწვანე შუქები, უსაფრთხოების ავტომობილი დაიძვრება და მონაწილე ავტომობილები უნდა გაყვნენ. ლიდერი არ უნდა ჩამორჩეს უსაფრთხოების ავტომობილს 5 (ხუთი) ავტომობილის მანძილძე მეტი მანძილით. რესტარტისას არ უნდა იყოს გამახურებელი წრე და რბოლა დაიწყება იმ დროს, როდესაც უსაფრთხოების ავტომობილი სარბოლო მონაკვეთიდან გავა და ცენტრალურ შუქნიშანზე მწვანე შუქი აინთება ან/და შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის საკონტორლო პუნქტზე მწვანე დროშა აფრიალდება.

როდესაც შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი მოსთხოვს უსაფრთხოების ავტომობილს სარბოლო მონაკვეთიდან მის კუთხვნილ ავტოფარეხთან დაბრუნებას, უსაფრთხოების ავტომობილი გამორთავს ყვითლ/ნარიჯისფერ ციმციმებს, რაც ამცნობს მონაწილეებს იმაზე, რომ მიმდინარე წრის ბოლოს უსაფრთხოების ავტომობილი გავა სარბოლო მონაკვეთიდა და მონაწილეებს უფლება ენებათ განაგრძონ რბოლა (თუ ეს ყველაფერი რბოლის ბოლო წრეზე არ ხდება) ასეთ შემთხვევაში ლიდერ ავტომობილს (უსაფრთხოების ავტომობილის უკან) შეუძლია პელეტონის დარჩენილ მონაწილეებს მიუთითოს სიჩქარის ტემპი და საჭიროების შენმთხვევაში ჩამორჩეს უსაფრთხოების ავტომობილს დაშვებულზე მეტი მანძილით. რესტარტამდე ინციდენტების ალბათობის შესამცირებლად და თავიდან ასარიდებლად, აღნიშნული მომენტიდან ყველა მონაწილე ავტომობილი უნდა მოძრაობდეს ერთი ტემპით რაც გულისხმობს დამუხრუჭების აკრძალვას. აჩქარება-შენელებას ან სხვა რისკის შემცველ მანევრირებას იმ მომენტამდე სანამ უსაფრთხოების ავტომობილი არ გადავა პიტ ლეინისაკენ. როდესაც უსაფრთხოების ავტომობილი მიაღწევს პიტ ლეინის შესასვლელს, ნიშანი „SC” და ყვითელი დროშები მოხსნილი უნდა იყოს მარშლების პუნქტებიდან, უნდა აფრიალდეს მწვანე დროშები და აინთოს მწვანე შუქი ცენტრალურ შუქნიშანზე, რომელიც შეიძლება დარჩეს ანთებული იმ მომენტამდე სანამ ბოლო ავტომობილი არ დაასრულებს რბოლას.

თავი 37 - რბოლის შეწყვეტა

37.1 თუ სესიის შეწყვეტა გახდა საჭირო ინციდენტის ან ამინდის ან სხვა მიზეზით, რის გამოც რბოლა სახიფათოა გასაგრძელებლად, შეჯიბრების ხელმძღვანელი გასცემს მითთიებას სესიის შეწყვეტის შესახებ, რაც გულისხმობს ყველა სადამკვირვებლო პუნქტზე (მარშლის პუნქტი) წითლი დროშების აფრიალებას და ცენტრალურ შუქნიშანზე წითელი შუქნიშნის ანთებას.

37.2 წითელი დროშების აფრიალების შემდეგ გასწრება აკრძალულია, პიტ ლეინიდან გასასვლელი ჩაიკეტება და პირველი ავტომობილი, რომელიც შევა პიტ ლეინზე უნდა

გაემართოს, პირდაპირ პიტ ლეინის გასასვლელისაკენ სამოძრაო ზოლით. ყველა შემდეგმა ავტომობილმა უნდა დაიკავოს სტრიქონი პირველი ავტომობილის შემდეგ.

37.3 ნებისმიერი ავტომობილი, რომელმაც ვერ შეძლო პიტ ლეინზე შემოსვლა ჩახერგილი (დაბლოკილი) სარბოლო მონაკვეთის გამო შეძლებენ ამას მაშინ, როდესაც სარბოლო მონაკვეთი გაიხსნება და ბადის ფორმირება მოხდება იმ თანმიმდევრობით რა თანმიმდევრობითაც გადაკვეთეს ფინიშის ხაზი მონაწილეებმა სესიის შეწყვეტამდე.

37.4 დამატებით, რბოლის შეწყვეტის მომენტში, ნებისმიერი პიტ ლეინზე მყოფი ავტომობილი ან პიტ ლეინის შესასვლელში მყოფი ავტომობილი ბადეზე დაიკავებენ იმ პოზიციას რა პოზიციაზეც იყვნენ რბოლის შეწყვეტამდე. ნებისმიერ შემთხვევაში, ბადის ფორმირება მოხდება იმ ბოლო მომენტიდან რა მომენტშიც იყო შესაძლებელი მონაწილის პოზიციის დადგენა ყველა ავტომობილისათვის. ყველა ასეთ ავტომობილს მიეცება რბოლაში დაბრუნების საშუალება.

37.5 უსაფრთხოების ავტომობილი ჩადგება პელეტონის წინ სამოძრაო ზოლში.

37.6 რბოლის შეწყვეტის შემთხვევაში:

ა) შეჯიბრების დირექტორის გადასაწყვეტია რბოლის დროის გაჩერება

ბ) მექანიკოსებს უფლება აქვთ ავტომობილებთან იმუშაონ, მაგრამ მათი ქმედებები შეზღუდულია, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებისა რადგანაც მათმა სამუშაოებმა ხელი არ უნდა შეუშალოს რბოლის გაგრძელებას.

- ავტომობილის დაქოქვა ან დაქოქვასთან დაკავშირებული ქმედება
- შეცვლა, მოხსნა და ა.შ. ავტმობილის მუდმივი გამაგრილებელი საშუალებებისა და მოწყობილობების
- ავარიის შედეგად მიღებული დაზიანების შეკეთბა (ტექნიკური კომისრის ან დელეგატის შეხედულებისამებრ)
- საბურავის წნევის დარეგულირება და შემოწმება
- დაზიანებული საბურავის შეცვლა
- საბურავის შეცვლა

გ) საწვავით შევსება ან/საწვავის ამოღება აკრძალულია

37.7 ოფიციალური პირების მოთხოვნის გარეშე ავტომობილების მოძრავი ზოლიდან გაყვანა, როდესაც რბოლა შეწყვეტილია - დაუშვებელია. მონაწილე რომელიც ავტომობილს გაიყვანს მოძრავი ზოლიდან პიტ ლეინის ნებისმიერ სხვა მონაკვეთში დაჯარიმდება შეჯიბრების კომისრების მიერ. მონაწილე, რომელიც იმყოფებოდა პიტ ლეინის შესასვლელში ან პიტ ლეინზე (საკუთარ ავტოფარეხთან), როდესაც რბოლა შეწყდა - არ დაჯარიმდებიან. თუმცა, მრბოლელი, ვისი ავტომობილიც გადაადგილდება მოძრავი ზოლიდან პიტ ლეინის, სხვა, ნებისმიერ ადგილას - დაჯარიმდება

37.8 რბოლის განახლების შემთხვევაში მონაწილეებს ნებას დართავენ დატოვონ პიტ ლეინი. მონაწილეები, რომლებიც საკუთარი ძალით დაბრუნდნენ პიტლეინზე უფლება მიეცემათ რბოლის გაგრძელების. ნებისმიერ დროს, მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს მარშლების მითითებებს.

თავი 38 - რბოლის გაგრძელება

38.1 მინიმუმ 3 წუთით ადრე ეცნობებათ მრბოლელებს რბოლის გაგრძელების შესახებ.

38.2 იქნება ნიშნები გამოფენილ „3 წუთი“, „1 წუთი“ და „30 წამი“ რბოლის გაგრძელებამდე და თან დაერთვება ხმოვანი სიგნალი

38.3 როდესაც ნაჩვენები იქნება ნიშანი „3 წუთი“, ყველა ავტომობილზე დამაგრებული უნდა იყოს საბურავები. ნიშნის შემდეგ, საბურავები შესაძლებელია შეიცვალოს პიტ ლეინზე ან ბადეზე რბოლის შემდეგი შეწყვეტის შემთხვევაში

38.4 მონაწილე, რომელსაც ოთხივე საბურავი დამაგრებული აქ ექნება ნიშანზე „3 წუთი“ დაჯარიმდება “Drive Through” ჯარიმით (პიტ ლეინზე გავლა გაუჩერებლად)

38.5 ნიშნამდე „1 წუთი“ ყველა ავტომობილი დაშვებული უნდა იყოს დომკრატიდან

38.6 „Drive Through” (გავლა პიტ ლეინზე გაუჩერებლივ) ჯარიმით დაჯარიმდება მონაწილე, ვისი ავტომობილიც არ იქნება დომკრატიდან დაშვებული ან საბურავს შეცვლის ნიშანი „3 წუთი“ს შემდეგ.

სარბოლო მონაკვეთიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევში, ნიშანი „3 წუთი“ს ჩვენების შემდეგ (დამოკიდებულია სარბოლო მონაკვეთის სიგრძეზე და გავლოს დროზე) ნებისმიერ ავტომობილი, რომელიც იმყოფება წითელ დროშის ზოლსა და ლიდერს შორის, ანიშნებენ, რომ შეასრულოს ერთი სრული წრე (გასწრების გარეშე რამოდენიმე ავტომობილის შემთხვევაში) და შეუერთდეს პელეტონს უსაფრთხოების ავტომობილის უკან.

38.7 როდესაც გამოფენიალია ნიშანი „1 წუთი“, მონაწილეებმა უნდა დაქოქონ სპორტული ავტომობილები, ყველა გუნდის ყველა წარმომადგენელი და სტუმარი, ყველა პირი, უნდა გავიდეს სამოძრაო ზოლიდან ნიშნამდე „30 წამი“ და თან წაიღონ თავიანთი ინვენტარი. თუ რომელიმე მრბოლელს ჭირდება დახმარება მოძრავ ზოლში გაჩერებულ ავტომობილზე მრბოლელებს უფლება აქვთ, გადაადგილდნენ პიტ ლეინის სხვა მონაკვეთზე იმისათვის, რომ გვერდი აუარონ ასეთ ავტომობილს.

38.8 რბოლა გაგრძელდება უსაფრთხოების ავტომობილის უკან მას შემდეგ რაც მწვანე შუქი აინთება ცენტრალურ შუქნიშანზე და უსაფრთხოების ავტომობილი შევა პიტ ლეინზე 1 წრის შემდეგ, თუ:

ა) რბოლა განახლდება წვიმიან ამინდში და შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი ჩათვლის, რომ 1ზე მეტი წრის შესრულება უსაფრთხოების ავტომობილის უკან აუცილებელია

ბ) ყველა ავტომობილი არ დგას სტრიქონში უსაფრთხოების ავტომობილის უკან

გ) დამატებითი ინციდენტი, რომელიც მოითხოვს აღმოფხვრას

დ) შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი გადაწყვეტს, რომ შეჯიბრების განახლება საფრთხის შემცველია

38.9 როდესაც პიტ ლეინის გასასვლელში მწვანე აინთება, უსაფრთხოების ავტომობილი დაიძრება (ყვთელი/ნარინჯისფერი ციმციმა ჩართული), ყველა მონაწილე უნდა გაყვეს და უნდა დაიცვან 5 (ხუთი) ავტომობილის ზომის დისტანცია.

38.10 უსაფრთხოების ავტომობილის უკან გასწრება ნებადართულია იმ შემთხვევში თუ:

- თუ მრბოლელი აგვიანებს მისი პოზიციის დატოვებას სამოძრაო ზეოლზე და უკან მდგომი მრბოლელები ვერ აიცილებენ გადასწრებას რათა არ მოხდეს პელეტონის შეფერხება. ასეთ შემთხვევში, მრბოლელს შეუძლია გადაასწროს მრბოლელებს მისი საწყისი პოზიციის დასაბრუნელად იმ პირობით, თუ ამას მოახერხებს უსაფრთხოების ავტომობილის ზოლი 1მდე ან ნებისმიერ სხვა ადგილამდე რომლესაც განსაზღვრავს შეჯიბრების დირექტორი/ხელმძღვანელი (ნებისმიერ შემთხვევაში იმ წრეზე სანამ უსაფრთხეობის ავტომობილი პიტ ლეინზე დაბრუნდება). თუ მონაწილე ამას ვერ შეძლებს, მრბოლელი ვალდებულია შევიდეს პიტ ლეინზე და რბოლას გააგრძელებს პიტ ლეინიდან მას შემდეგ, რაც ყველა მონაწილე ჩაივლის პიტ ლეინის გასასვლელს და რბოლა განახლდება.
  ყველა მრბოლელი, რომელიც დაიგვიანებს ზემოთ აღწერილის მიხედვით, არ უნდა გაასწროს სხვა, მოძრავ ავტომობილს თუ ის იდგა უმოძრაოდ და ყველა მის უკან მყოფმა ავტომობილმა ჩაუარა. ასეთ შემთხვევაში მონაწილე დაიწყებს რბოლას პელეტონის ბოლოდან. თუ აღნიშნულში 2 (ორი) ან მეტი მრბოლელია გარეული, მათ უნდა დაიკავონ პელეტონის ბოლო პოზიციები იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც დატოვეს პიტ ლეინი.
  “Drive Through” (პიტ ლეინის გაუჩერებლად გავლა) ჯარმით დაჯარიმდება მრბოლელი, რომელიც ვერ დაიბრუნებს თავის პოზიციას უსაფრთხოების ავტომობილის ზოლი 1მდე ან ნებისმიერ სხვა წერტილამდე, რომელსაც მიუთითებს შეჯიბრბის დირექოტრი/ხელმძღვანელი
- შეჯიბრების დირექტორის/ხელმძღვანელის მითითების საფუძველზე მონაწილეს შეუძლია გაასწროს სხვა მონაწილეს იმისათვის, რომ აღადგინოს სწორი თანმიმდევრობა იმ მდგომარეობით, რა მდგომარეობაც იყო შეჯიბრების შეწყვეტამდე, რაც უნდა გააკეთოს იმ წრემდე სანამ უსაფრთხოების ავტომობილი არ შევა პიტ ლეინზე.

38.11 შეჯიბრების კომისრები დააჯარიმებენ მონაწილეს, თუ ჩათვლიან, რომ მონაწილემ უმიზეზოდ გადაასწრო სხვა მონაწილეს პირველი წრის მიმდინარეობისას უსაფრთხოების ავტომობილის გასვლამდე

38.12 თუ რბოლა ვეღარ გაგრძელდება, შედეგები გამოქვეყნდება იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც გადაკვეთეს მრბოლელბმა ფინიშის ზოლი რბოლის შეწყვეტამდე

38.13 რბოლისას, როდესაც ლიდერმა გაიარა დაგეგმილი წრეების რაოდენობის 70% ან მეტი და შეწყდა - რბოლა ჩაითვლება დასრულებულად. შედეგები გამოქვეყნდება იმ წრის წინა წრის მიხედვით, რომელ წრეზედ შეწყდა რბოლა.

38.14 საბოლოო კლასიფიკაციაში მოსახვედრად, მრბოლელმა უნდა გადაკვეთოს ფინიშის ხაზი (პიტ ლეინი არ არის ფინიშის ხაზი (ავტომობილები, რომლებიც დაზიანების გამო პიტლეინზე იმყოფებიან) ავტომობილებმა ფინიში საკუთარი ძალით უნდა გადაკვეთონ (რეშე პირების დახმარების გარეშე)) იმ წრის ბოლოს, რომლიდანაც უნდა გამოცხადდეს საბოლოო შედეგები

38.15 სესიის შეწყვეტის გამომწვევი მრბოლელი (წითლი დროშები), შეჯიბრების კომისრების გადაწყვეტილებითა და შეხედულებით შეიძლება არ აისახოს საბოლოო კლასიფიკაციაში.

თავი 39 - რბოლის ხანგრძლივობის შემცირება/რბოლის დასრულება

39.1 რბოლის ხანგრძლივობაა - 12 წრე. ფინიშის ხაზი მდებარეობს სარბოლო მონაკვეთზეც და პიტ ლეინზეც.

39.2 სარბოლო მონაკვეთზე, რბოლის დასრულებას თითოეულ მრბოლელს ანიშნებენ ფინიშის დროშით, როდესაც მრბოლელები კვეთავენ ფინიშის ზოლს.

ყოველი წრის ბოლოს, ფინიშის ხაზის გასწვრივ სადამკვირვებლო პუნქტზე გამოფენილი იქნები ციფრები (ზუსტი ადგილი გათვალისწინებული და აღწერილი იქნება შეჯიბრების დებულებაში), რაც მიუთითებს რბოლის დასრულებამდე განრიგით დარჩენილი წრეების რაოდნობას.

ბოლო წრეზე, სადამკვირვებლო პუნქტზე გამოფენენ ციფრს - 1, რაც მრბოლელებს ამცნობს ბოლი წრის დაწყების შესახებ.

ზემოთ ხსენებული წრის დასრულების შემდეგ, ლიდერს და მის შემდეგ ყველა მონაწილეს, რომელიც გადაკვეთს ფინიშის ხაზს აუფრიალებენ ფინიშის დროშას, რაც მონაწილეებს ამცნობს რბოლის დასასრულს (მიუხედავად იმისა რამდენი წრე შეასრულეს). ფინიშის დროშა ფრიალებს ყველა მრბოლელისათვის ლიდერის შემდეგ. ლიდერს შემდეგ, ყველა მონაწილისათვის რბოლა დასრულებულია.

39.3 იმ შემთხვევაში, თუ ფინიშის დროშა აფრიალდება რბოლის გეგმიური წრეების დასრულებაზე ადრე, რბოლა ჩაითვლება დასრულებულად იმ შედეგით, როდესაც რბოლის ლიდერმა ბოლოს გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

იმ შემთხვევში, თუ ფინიშის დროშა აფრიალდება რბოლის გეგმიური წრეების დასრულების მერე (დაგვიანებით), რბოლა ჩაითვლება დასრულებულად იმ თან მიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც შეასრულეს მრბოლელებმა რბოლის გეგმიური წრეების რაოდენობა.

39.4 ყველა ავტომობილმა უნდა გადაკვეთოს ფინიშის ხაზი საკუთარი ძრავის სიმძლავრით (დახმარების გარეშე). უნდა გაიაროს გამაგრილებელი წრე ისე, რომ არ გაასწროს ავტომობილებს, რომელბსაც რბოლა არ დაუსრულებიათ. ნებისმიერი ავტომობილი

(კლასიფიცირებული), რომელმაც ვერ მოაღწია შეჯიბრების შემდგომ დახურლ პარკს საკუთარი ძრავის სიმძლავრით, დახურულ პარკში გადაყვანილი უნდა იყოს ოფიციალური პირების მეთვალყურეობით.

39.5 ფორსმაჟორული სიტუაციისას შეიძლება საჭირო გახდეს რბოლის გეგმიური წრეების რაოდენობის შემცირება. ასეთ შემთხვევაში მონაწილეებს ეცნობებათ შეჯიბრების კომისრების მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ბიულეტინის საშუალებით.

თავი 40 -"დახურული პარკი"(Parc Ferme)

40.1 იმ მომენტიდან, როდესაც რბოლის ლიდერი მიიღებს რბოლის დასრულების ნიშანს, ყველა კლასიფიცირებულ მონაწილე ავტომობილზე მოქმედებს „დახურული პარკის რეჟიმი", რომელიც მოქმედებს სრულ სარბოლო ტერიტორიაზე. ნებისმიერი სახის ტექნიკურის სამუშაოები ავტომობილზე დაუშვებელია. გარდა ამისა, ფინიშის დროშის შემდეგე, ავტომობილებეზე აკრაძალლულია ნებისმიერი სახის მასალის ან/და ნივთიერების მოხსნა ან/და დამატება.

40.2 ყველა ავტომობილი, რომელმაც დაასრულა რბოლა (ფინიშის დროშით) ვალდებულია გაუჩერებლივ, გამაგრილებელი წრის შემდეგ გაემართოს დახურული პარკისაკენ (დახურული პარკის მდებარეობა გათვალისწინებული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში)

ყველა კლასიფიცირებული ავტომობილი, რომელმიც ვერ შეძლებს საკუთარი ძალით გადაკვეთოს ფინიშის ხაზი ან/და მიაღწიოს დახურულ პარკამდე გადაყვანილი უნდა იყოს დახურულ პარკში ოფიციალური პირების მეთვალიყურეობით

40.3 მრბოლელება ავტომობილი უნდა დატოვონ ნეიტრალურ გადაცემაში, ხელის მუხრუჭზე და იმ შეთხვევაში, თუ ავტომობილს საჭე ეხსნება სავალდებულია საჭის დატოვება და დამაგრება.

40.4 სესიის შემდეგ, თუ გათვალისწინებულია დახურული პარკი, მონაწილეებს ეკრძალებათ ავტომობილის გამოყვანა სანამ ნევართვას შეჯიბრების დირექტორო/ხელმძღვანელი არ გასცემს შეჯიბრების კომისრების თანხმობით.

40.5 ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც გაივლის ტექნიკურ შემოწმებას არ შეიძლება გაყვანილი იყოს პადოკიდან სანამ ბოლო შეჯიბრების შემდგომი"დახურული პარკი"არ დასრულდება ან შეჯიბრების შემდგომი ტექნიკური დათვალიერება არ დასრულება თუ ნებართვა არ არის გაცემული შეჯიბრების ტექნიკური დელეგატისაგან

40.6 ავტომობილის დახურულ პარკში შეყვანის შემდეგ, მრბოლელს უფლება აქვს ამოიღოს ვიდეო კამერის ჩანაწერები საკუთარი ავტომობილიდან. სხვა ავტომობილიდან რაიმე საგნის ან ნივთიერების ამიღება/ჩადება აკრძალულია

თავი 41 - სატურნირო მდგომარეობა/კლასიფიკაცია

41.1 რბოლაში პირველი ადგილზე გავა მრბოლელი, რომელიც პირველი შეასრულებს რბოლის განრიგით გათვალისწინებული წრეების რაოდენობას ან 49.5 პუნქტით გათვალისწინებულს.

წრეები, რომლებიც ავტომობილმა არ შეასრულა საკუთარი ძრავის ძალით - არ ითვლება შერულებულ წრეებად.

41.2 რბოლის კლასიფიკაციაში მოსახვედრად, მრბოლელმა უნდა შეასრულოს რბოლის გამარჯვებულის მიერ შესრულებული წრეების რაოდენობის მინიმუმ 70%. მრბოლელი, რომელიც ფინიშის ზოლს (ბოლო წრეზე) გადაკვეთავს პიტ ლეინზე, დაჯარიმდება 30 წამით.

41.3 რბოლის დასრულების შემდეგ უნდა გამოქვეყნდეს წინასწარი შედეგები. აკრძალლულია საბოლოო შედეგების გამოქვეყნება რბოლის ტექნიკური შემოწმების, პროტესტისა და აპელაციის მიღბის დროის გასვლამდე. ყველა რბოლის შემდგომი ტექნიკური შემოწმების, პროტესტების და აპელაციის დროის გასვლამდე.

თავი 42 - დაჯილდოების ცერემონია და პრეს კონფერენცია

42.1 დაჯილდოების ცერემონია გაიმართება თითოული შეჯიბრების დასრულების შემდეგ, დაუყოვნებლივ. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობის მიღება სავალდებულოა რბოლის გამარჯვებული პირველი სამეულისათვის და გამარჯვებული გუნდისათვის.

დაჯილდოების ცერემონიაზე არ გამოცხადება ისჯება ფულადი ჯარიმით, შეჯიბრების კომისრებს უფლება აქვთ გამოიყენონ დამატებითი სასჯელი. ცერემონიაზე, ყველა მრბოლელი ვალდებულია სწორად ეცვას სარბოლო კომბინიზონი.

42.2 ორგანიზატორის მოთხოვნით, შესაძლებელია გაიმართოს გამარჯვებული მრბოლელების პრესკონფერენცია, ასევე დამატებით ყველა ან ინდივიდუალური მრბოლელისათვის. პრესკონფერენციაზე დასწრება სავალდებულოა.

თავი 43 - სატელევიზიო/სარეკლამო უფლებები

ყველა უფლება ეკუთვნის „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია“ს. „სსსფ“-ს უფლება აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს.

თავი 44 - სამართლებრივი დავის და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ნებისმიერი სახის კომპენსაციის არანაირი მოთხოვნა არ შეიძლება ორგანიზატორის,“სსსფ“ ან და ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებთან ან/და ქმედებებთან დაკავშირებით, თუ ეს უკანასკნელი არ არის უხეში დარღვევა ან/და მიზანმიმართული ზარალის მიყენება

დანართი #1: ჯარიმების სახელმძღვანელო

საქართველოს ჩემპიონატი წრიულ რბოლაში "GTCC" ჯარიმები კლასიფიცირდება დონე 1დან დონე 4ის ჩათვლით (დარაღვევის სიმძიმის მიხედვით). დონე 4ის ჯარიმები ყველაზე მძიმე ჯარიმაა GTCC-ში

1. **ჯარიმები საკვალიფიკაციო გარბენისას**
   - **1.1 სასიგნალო დროშების უგულებელყოფა**
     დონე 3 - სერიოზული ან სახიფათო - საუკეთსო წრის დროის გაუქმება + პირობითი სასჯელი
   - **1.2 სარბოლო მონაკვეთის ლიმიტების დარღვევა**
     დონე 2: მიმდინარე წრის დოის გაუქმება + მომდევნო წრის დროის გაუქმება თუ ტრასის ლიმიტების დარღვევამ გამოიწვია მომდევნო წრისათვის სტარტ-ფინიშის პირდაპირზე უკეთსი აჩქარება.
   - **1.3 არა სპორტული საქციელი ან ავტომობილის აგრესიული მართვა**
     დონე 1 - უმნიშვნელო: გაფრთხილება
     დონე 2: სესიის საუკეთესო დროის გაუქმება
     დონე 3 - სერიოზული ან განმეორებითი: სესიის ყველა დროის გაუქმება + პირობითი სასჯელი
   - **1.4 სხვა მრბოლელის დაბლოკვა ან შეფერხება ან შენელება**
     დონე 1 - უმნიშვნელო: გაფრთხილება
     დონე 2: სესიის საუკეთსო დროის გაუქმება
     დონე 3 - სერიოზული ან განმეორებითი: სესიის ყველა დროის გაუქმება + პირობითი სასჯელი
2. **ჯარიმები რბოლისას**
   - **2.1 სასტრატო პოზიციის უგულებელყობა გამახურებელ წრეზე**
     დონე 1: უმნიშვნელო ან უნებლიე: გაფრთხილება
     დონე 2: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა
   - **2.2 სასტრატო პროცედურის დარღვევა**
     დონე 1: უმნიშვნელო ან უნებლიე: გაფრთხილება
     დონე 2: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა

დონე 3: დონე 3 - სერიოზული ან განმეორებითი: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through და/ან Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) და/ან დისკვალიფიკაცია: რბოლიდან და/ან ქულების ჩამოკლება ჩემპიონატში + პირობითი სასჯელი

2.3 **ფასლ სტარტი**

დონე 1: უმნიშვნელო ან უნებლიე: გაფრთხილება

დონე 2: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through

2.4 კონტაქტი გამახურებელ წრეზე, უსაფრთხოების ავტომობილის უკან ან რბოლის შემდეგ

დონე 1: უმნიშვნელო ან უნებლიე: გაფრთხილება

დონე 2: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან ქულების ჩამოკლება ჩემპიონატში ან დროის ჯარიმა

დონე 3 - სერიოზული: Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) + პირობითი სასჯელი

დონე 4 - სერიოზული და სახიფათო: Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) ან დისკვალიფიკაცი ან ქულების ჩამოკლება ჩემპიონატში + პირობითი სასჯელი + შესაძლებელია დაეკისროს დამნაშავეს დამატებითი ჯარიმა ჩემპიონატის ქულების ან სასტარტო პოზიციის ჯარიმე შემდეგ რბოლაში, რომელშიც მრბოლელი მიიღებს მონაწილეობას.

2.5 გასწრება ყვითელი დროშების ქვეშ

დონე 2 - სერიოზული: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა

დონე 3 - სერიოზული, სახიფათო ან განმეორებითი: Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) + პირობითი სასჯელი

2.6 გასწრება უსაფრთხოების ავტომობილისას

დონე 2 - სერიოზული: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა

დონე 3 - სერიოზული, სახიფათო ან განმეორებითი: Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) + პირობითი სასჯელი

2.7 სარბოლო მონაკვეთის ლიმიტების დარღვევა

დონე 1: გაფრთხილება

დონე 2 - სერიოზული, სახიფათო ან განმეორებითი: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through

2.8 სარბოლო მონაკვეთის ლიმიტების დარღვევით უპირატესობის მოპოვება (ან პოზიციის)

დონე 1: პოზიციის დაუყოვნებლივ დაბრუნების შემთხვევაში: გაფრთხილება

დონე 2 - სერიოზული, სახიფათო ან პოზიცია არ იყო დაბრუნებული: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა

2.9 კონტაქტისას უპირატესობის მოპოვება (პოზიციის)

დონე 1 - უმნიშვნელო და/ან პოზიცია იყო უკან დაბრუნებული: გაფრთხილება

დონე 2: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა ან ჩემპიონატში ქულების ჩამოკლება

დონე 3 - სერიოზული: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) ან ჩემპიონატში ქულების ჩამოკლება + პირობითი სასჯელი

დონე 4 - მნიშვნელოვანი ინციდენტის გამოწვევა: Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) ან ჩემპიონატში ქულების ჩამოკლება + პირობითი სასჯელი

2.10 აგრესიული მართვა

დონე 1 - უმნიშვნელო: გაფრთხილება

დონე 2: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა ან ჩემპიონატში ქულების ჩამოკლება

დონე 3 - სერიოზული: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან Stop&Go „XXX წამი" დორით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) ან ჩემპიონატში ქულების ჩამოკლება + პირობითი სასჯელი

დონე 4 - სერიოზული + ინციდენტის გამომწვევი: Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) ან დისკვალიფიკაცია + პირობითი სასჯელი + შესაძლებელია დაეკისროს დამნაშავეს დამატებითი ჯარიმა ჩემპიონატის ქულების ან სასტარტო პოზიციის ჯარიმე შემდეგ რბოლაში, რომელშიც მრბოლელი მიიღებს მონაწილეობას.

2.11 არასპორტული მოქმედების/ საქციელის მსგავსი ქცევა

დონე 1 - უმნიშვნელო: გაფრთხილება

დონე 2: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან დროის ჯარიმა

დონე 3 - სერიოზული: პიტ ლეინის გავლა გაუჩერებლივ - Drive Through ან Stop&Go „XXX წამი" დორით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) ან ჩემპიონატში ქულების ჩამოკლება + პირობითი სასჯელი

დონე 4 - სერიოზული + ინციდენტის გამომწვევი: Stop&Go „XXX წამი" დროით (შეჯიბრების კომისრების შეხედულებისამებრ) ან დისკვალიფიკაცია + პირობითი სასჯელი + შესაძლებელია დაეკისროს დამნაშავეს დამატებითი ჯარიმა ჩემპიონატის ქულების ან სასტარტო პოზიციის ჯარიმე შემდეგ რბოლაში, რომელშიც მრბოლელი მიიღებს მონაწილეობას.

2.12 შეჯიბრის დირექციის მითითებების შეუსრულებლობა ან/და უპატივცემულობა (ასევე ოფიციალური პირების)

დონე 1 - უმნიშვნელო: გაფრთხილება

დონე 2 – შეჯიბრების შეფერხება: შემპიონატის ქულების ჩამოკლება

დონე 3 - სერიოზული, შეჯიბრების შეფერხება, სახიფათო ან განმეორებითი: Drive Through ან/და ჩემპიონატის ქულების ჩამოკლება + მონაწილის/მრბოლელის პირობითი სასჯელი.

რეგლამენტში ნახსენები დროის ჯარიმები (სადაც არ არის მითთიებული კონკრეტული საჯარიმო დრო) შეიძლება იყოს მაქსიმუმ 45 წამი, რომელიც დაემატება დამნაშავის საბოლოო შედეგს.

თუ დამნაშავე მრბოლელი გამოეთიშება რბოლას ან ლიდერს ჩამორჩენილია 1 წრით და მეტით და რბოლის შემდეგ გადაწყეტილება დროით დაჯარიმებასთან დაკავშირებით კარგავს აზრს,

ასეთ შემთხვევაში კომისრებს შეუძლიათ დროის ჯარიმის ნაცვლად გამოიყენონ ჩემპიონატში ქულების ჩამოკლების ჯარიმა ან და პოზიციების ჯარიმა შემდეგ რბოლაში რომელშიც მონაწილე მიიღებს მონაწილეობას.

იმ შემთხვევაში თუ, “DT” იქნება დასჯის მეთოდი და რბოლის დასრულებამდე დარჩენილია 2 წრე ან რბოლა დასრულებულია მაშინ “DT” ჯარიმა შეიცვლება და მონაწილეს დაეკისრება 30 წამი დროის ჯარიმა, რომელიც მონაწილის საბოლოო შედეგს დაემატება.

იმ შემთხვევაში თუ, “Stop&Go” იქნება დასჯის მეთოდი და რბოლის დასრულებამდე დარჩენილია 2 წრე ან რბოლა დასრულებულია მაშინ “Stop&Go” ჯარიმა შეიცვლება და მონაწილეს დაეკისრება 40 წამი დროის ჯარიმა, რომელიც მონაწილის საბოლოო შედეგს დაემატება.

ნებისმიერი სესიიდან მრბოლელის ან/და მონაწილის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, მრბოლელს/მონაწილეს არ გადაეცემა მათთივს განკუთვნილი პრიზები, მეტიც, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე მრბოლელს/მონაწილეს შეიძლება უარე ეთქვას შემდეგ რბოლებში ან და ეტაპებზე მონაწილეობაზე.